ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველო

მიიღება განცხადებები

სტრიქონი პეტიტი 1-ლ გვერდზე 4 მანეთი მე-4-ე გვერდზე—3 მანეთი. გარეშე ცნობები შეთანხმებით სტრიქონზე არა ნაკლებ 6 მან.
სამგლოვიარო განცხადება—120 მან. 30 სტრიქონის. ორი საათის შემდეგ სტამბაში 150 მან.

გაზეთის გამოწერა ერთი წლით 1000 მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად გადახდა.
6 თვით 600 მ., 3 თვით 300 მან.
კონტორა ღიაა 9 ს.—3 ს. და საღ. 5—7 ს. უქმე-დღეებში კონტორა დაკეტილია.
კონტორის ტელეფ. 15—73.

ყოველდღიური გაზეთი — სამშაბათი. თებერვლის 24 1920 წ. № 41 — ფასი 4 მან.



ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნატალია, შვილები: ლიუდმილა, მარგალიტა, თამარ, ელენე, ხიდედრი ნინო გიორგის ასული პეპკორიასი, მაზლები: იოსებ სტეფანეს ძე კოსტავა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ რომ 20 თებერვალს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

**კონსტანტინე ალექსის ძე შენგელაია**

დაკრძალვა მოხდება შაბათს თებერვლის 28 ს დღის 2 საათ. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 ს. 1—2886—1

---

**კინემო მინიონი** თებერვლის 22, 23, 24-ს

## უკანასკნელი სიტყვა ბრალდებულის

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. მონაწილეობენ: ვ. ვალიცკაია, ა. ვირუბოვი.

ნაწ. 1. მ შევხვდი ქალს და შემიყვარა ღრმად.
ნაწ. 2. ის ვცემდა მას, როგორც მხეცი. ქვითინის დროსაც ის უძახებდა მხოლოდ „ჯალათის“ სახელს.
ნაწ. 3. სასიკვდილო ბრძოლაში ისწრაფოდა წამებული სული.
ნაწ. 4. აი, მ აჯულნო, როდის მომწიფდა ჩემი აზრი.
დასასრულ კომიკური სურათი და ხანახაობა.

---

**სახელმწიფო თეატრი**

ფალიაშვილის ხელმძღვანელობით
დღეს, თებერვლის 24-ს

**იოლანტა და ალეკო**

---

**მიხეილის ალკრე** პლეხანოვის ქ. 91

დღეს ალად მიღებული, შესანიშნავი ახალის დადგმით

## „ბედისწერით განწირულნი“

ტრაგედია 5 აქტად ეპილოგით.

მთავარ როლში სახელმწიფო თეატრის მსახიობი ქალი **ვ. ვ. მაქსიმოვი**

სიმფონიური ორკესტრი.

თეატრი ითბობა. ფასები არ არის გადიდებული.

პასუხისმგებელი ადმინისტრატორი ა. კორრიდო

---

**ექიმი**

## დ. ი. ჯაფარიძე

შინაგანი, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.
ავადმყოფის მიღება 12—1 ნახ. ს. მადათოვის ქ. № 2. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელ. 16—65.

---

**იყიდება**

## რესტორანი

პლეხანოვის პრ. № 162.

2894 1—1

---

1-ლ მარტიდან თბილისში გამოვა ყოველკვირეული **გაზეთი**

## „სასოფლო გაზეთი“

„სასოფლო გაზეთს“ ექნება შემდეგი განყოფილებანი:
საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა და მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა. სასოფლო ცხოვრება.

„სასოფლო გაზეთში“ მონაწილეობას იღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და ს. მეურნეო საკითხებში.

გაზეთს რედაქტორობს ნიკო კიშაური.

რედაქცია იმყოფება დამფუძნებელი კრების (სასახლის) ქუჩაზე № 5, გაზეთ „საქართველოს“ ბინაზე. გაზეთის ფასი თვიურად 8 მან. თითო ნომერი 2 მან.

4—3—6

---

პირველ-ხარისხოვანი

**ცირკი „კრისტენს“**

ვერის დაღმართზე. ტელ. 5—62.
სამშაბათს, თებერვლის 24 ს 1920 წ.
გაიმართება განსაკუთრებული საქველმოქმედო წარმოდგენა



**თბილისის ქალაქის მილიციის** ინიციატივით ცირკის დირექტორის გრიგოლ იაგორის ძის ბეჟოევის მონაწილეობით

**ქალ. გორის და მის მიდამოების მცხოვრებლებ მიწის-ძვრისაგან**

## დაზარალებულთა სასარგებლოდ

მონაწილეობენ: ევროპაში ცნობილი მისტერ ბორტონი, სახელგანთქმული თბილისელი კინტო გ. მეხტიევი. წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 ნახ. ს. საერთაშორისო ფალავანების ჭიდაობის გაგრძელების დასაწყისი ღამის 10 ნახ. ს.

იჭიდავებენ: კოლიაქვარიანი—ერმაკოვი, ზაგარუიკო—კალიშევიჩი, ნეიზვესტნი ჟანდე-კუდლონი, პარიზის ჭიდაობა გენჯა ალი—ოლენიკოვი.

წარმოდგენის და ჭიდაობის შემდეგ გაიმართება ამერიკული აუქციონი. გაიყიდება: ნახ. ფუთი დასამლვრევი შაქარი, 1 ფუთი თეთრი ფქვილი, კონიაკი, საპონი და ყველა სხოჯახო საჭიროებანი. ოპერეტის მსახიობთა ა. ჯურის, ვ. კრასოვის და შიხმანოვის მონაწილეობით წარმოადგენენ კომიკურ ერთ მოქ. ოპერეტას

## საქმრო და თუთიყუში

**დიდი კაბარე**

კონფერანსიე ვ. კრასოვი.

ყველა საქაო და საიქიო ძალების მონაწილეობით: შანსონეტკა—ე. ერნი, რომანსები: მ. შიხმანი, ლუპოვი, ა. ნემიროვი, მარიშევი, მომთხრობნი იაშა ცეიმსკი. კაბარეს და ოპერეტის დაწყება აუქციონის შემდეგ დილამდის იქნება ღია მანეჟი, მაგიდები ცხელ საჭმელებით, სასმელებით და სხვ. მაგიდების შეკვეთა მიიღება დილის 10 ს.—2 ს. და საღ. 6 ს, წარმოდგენის გათავებამდე. უკრავს ორკესტრი თბილისის მილიციისა.

არბიტრი: ვ. კვიატკოვსკი.

გამგ. იურიევი.

---

**ამხ. „დრუჟბა“**

პლეხანოვის ქ. (ყოფ. მიხეილოვის) № 83.

**დოროჟნიკოვის ფირმის ყოფილი მოსამსახურენი**

რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება მანუფაქტურულ საქმეში და დიდი ნაცნობობა სამხღვარ გარეთის ფირმების და მოპოვებული ნდობა, ყიდულობს თავის მუშტრებისთვის მომავალ

## საგაზაფხულო სეზონისათვის

**სილამაზით, გამძლეობით ისე ხელმისაწვდენ ფასებით.**

ამხანაგობა ცდილობს თავის ფირმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას და მსყიდველთ მიაწოდოს მაღალ ხარისხოვანი საქონელი და ყოველ კონკურენციის გარეშე გაავრცელებს თავის საქონელს.

ამის გამო ვინც ამხ. „დრუჟბა“-ში იყიდის საქონელს: კოსტიუმებს, თეთრეულებს და ყოველგვარ ს. ჭიროო ტანსაცმელს სრული გარანტია ექნებათ იმის, რომ ნაყიდი საქონელი იქნება ფარსალი და ვინც ამხ. „დრუჟბა“-ში იყიდის ეს საქონელი იქნება ყველაზე მეტად მაღალ ხარისხის, მეტად მშვენიერი, მეტად მოხდენილი და ყოველნაირი მოდური.

პატივისცემით ამხ. „დრუჟბა“.

P. S. მაღაზია ღიაა დილას 9—1 ს. საღ. 4—7 ს. შაბათობით დილის 9—2. ს

2865 2—1

---

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აუწყებს საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირთ, რომ 29 თებერვალს 1920 წ. დილის 11 საათზე ქ. თბილისში, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნება

## საქართველოს მეაბრეშუმეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეაბრეშუმეს. ერობები, ქალაქის გამგეობანი, საკრედიტო და სხვა. საზოგადოებრივი და კოოპერატიული დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელთ. აგრონომთა დასწრება თავისუფალია. რაიონებიდან და ადგილებიდან მოხსენებების წარმოდგენა მოკლედ და გარკვევით სავალდებულოა.

წინასწარი ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება საორგანიზაციო კომიტეტის მდივანთან გრაფის ქუჩა № 2. ტელ. 6—43. თბილისი. 2864 3—2

---

**ქართული კლუბი**

ოთხშაბათს თებერვლის 25-ს
რუსული დრამის „ტარ ოს“ მიერ წარმოდგენილი იქნება

## ჩემი მხედარი

მხიარული კომედ. 3 მოქმ.
მონაწილეობს მთელი დასი
დასაწყისი 9 ს. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი
კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

28 2—1

---



## ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი
(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)
ყოველ დღე საათის 1 დან 5 ს.
**სადილი**
ოთხშაბათიდან თებერვლის 25-დან პრემიერა
1. მხიარული სიკვდილი.
2. სტუდენტების სკოლა.
ნ. ევრეინოვისა.
დასდგამს ავტორი.
პროგრამის დაწყება ღამის 11 ნ ხ. ს.

---

**მოითხოვეთ**

## ჩარიბაძის კახური ღვინო

ფირმის მიერ მონაწილეებად მიწვეულები არიან გურჯაანის საუკეთესო მევენახეები.

2862 10 4

---

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

## „ტაშირი“

შტაბის ქ. № 6, პუშკინის სკვერის პირდაპირ

**ჩაბარდა ახალ პატრონებს.**

ყოველ დღე ხადილი ცნობილ კულინარ ლავრენტის ხელმძღვანელობით. სხვა და სხვა ხაუზმე, გახშამი, ევროპიული და აზიური. ყოველგვარი სასმელი დაკლებულ ფასებში.

2868 10 2 პატივისცემით დმ. გიგიბერია და მ. კაზიშვილი.

---

**საზ—განი**

## „კავკასი და მერკური“ და „ალმოსავლეთი“

მიიღება საქონლის დაზღვევა და გადაზიდვა. მიიღება აგრეთვე შესანახად და დასაზღვევად საქონელი. შეკრულება ყოველგვარი კომისიური დავალებების. საქონლის გაგზავნა ყველა გემებზე, რომელნიც გადიან კასპიის ზღვიდან სპარსეთში, შავი ზღვიდან— საზღვარ-გარედ და სხვა ქვეყნებში.

მთავარი წარმომადგენელნი დიდი ბრიტანეთის საზოგადოება გემის „კუნარდ“ „Cunard“ Steam shif Co-Limited მიღება ტვირთების გაგზავნა კონსტანტინოპოლში, ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერში, ანტვერპენში, შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკში, ბოსტონში, ფილადელფიაში და კანადაში. თებერვალში და მარტში მივალით ბათუმში ოკიანის გემებს: „კვინსლენდ“, „სახარა“ და „ინდიანოლა“. ცნობების მიღება შეიძლება თბილისში, საზოგადოების კონტორაში ერევნის მოედ. ტელ. 6 83.

2851 3—2

---

**მაქს მე ონსიმის ძე**

## გაქონია

აუწყებს თავის პატივცემულ კლიენტებს და ნაცნობთ, რომ მის ბინაზედ (სასამართ. ქ., სახ. № 52, ვასავლი არშაკუნის ქუჩაზანდით), ისევ დაიდგა მისი ძველი

**ტელეფონი № 9 — 25**

რომლითაც ის სარგებლობდა 9 წლის განმავლობაში.

**განცხადებების მიღება**

ყველა გაზეთებში და საკომისიო მონდობილობანი.

კონტორის (განათლება“) ტელეფონი წინანდელია 3—44.


---

## ახალი გორი

საქართველო აღსდგა მსოფლიო ომისა და ანარქიის შუაგულში. ყველა იმ ძალამ, რომლებმაც ქვეყნები ერთი მეორეს შეალეწეს და ხალხთა ცხოვრება დაშალეს, თანაც შვეს საქართველოს დამოუკიდებლობა და თანაც არსებობას უძნელებენ ამ დამოუკიდებლობას. ეს ორი წელიწადია, რაც საქართველო მკერდით მოაპობს დაბრკოლებათა ოკეანეს და დიდი მსხვერპლის საფასურით საძირკველს იმკვიდრებს. თითქოს საკმარისი არ ყოფილიყოს, რაც სახელმწიფოთა შორის განწყობილებამ და საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობამ სიძნელე შეგვიმქნეს! ამას უნდა მიმატებოდა სტიქიონის შურის ძიებაც და მოემატა კიდეც! ბუნებამ მიწის ძვრით მოგვილოცა საქართველოს ასვლა დამოუკიდებლობის ტახტზე! დაგვინგრია საუკუნეთა სიგრძეზედ აშენებული და გამაგრებული გორი, დაგვინგრია მის არე-მარეს შვიდმეტი სოფელი! ბევრი ნანგრევებს მოჰყვა და მათ ქვეშ დალია სული. ხოლო ვინც ცოცხალი გადარჩა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, ჯანსაღი თუ ავათმყოფი,—ყველა მინდვრათ სდგას ამ თოვლსა და ყინვაში! ამ მდგომარეობაშია, სულ ცოტა, ორმოცდაათი ათასი სული. ეს ამდენი ხალხი ცარიელზე დარჩა. არც სასმელი, არც საჭმელი, არც ტანი, არც ფეხი!

განუზომელია ამ ცოცხალ მსხვერპლთა ვაება, განუზომელია მათი სულის წყვეტება, მათი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა! ეს არის ცოცხალი ჯოჯოხეთი, მეტად მძაფრი სანახავი, მეტად გულის ჩამთხრობი! ზარალი, რაც საქართველოს მოუვიდა, მილიარდებით აღირიცხება.

ამ სტიქიონს პასუხი უნდა, ერთსულოვანი პასუხი მთელი ქართველი ერისა. რაც ადამიანის ღონისძიებაშია, ყველაფერი უნდა გავიღოთ სწრაფად და მაქსიმალურად.

პირველი დახმარების მიზანი უნდა იყოს ამ ხალხის დაბინავება და ტანისამოს საჭმელ სასმელის მიწოდება, აგრეთვე საექიმო და სანიტარული ღონისძიებათა მიღება. ამ მხრივ მთა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# [illegible], მიეცით სწრაფად და უხვად! მიწის ძვრით გაუბედურებულ მოძმეთ აღუდგინოთ დანგრეული კერა!

## დ ღ ე ს:

გორში მიწის ძვრა ჯერაც არ შეწყვეტილა.
მიწის ძვრა მოხდა ახალ სენაკშიც.
ახალქალაქის მაზრიდან ჩამოსული გადმოგვცემს, რომ მიწის ძვრამ იქ 3—4 სოფელი მიწასთან გაასწორა.
ვილსონმა ადრიატიკის საკითხზე თვის პასუხი ლონდონს აუწყა.
ლონდონის კონფერენცია აპრილამდის გასტანს.
ვალჰელმის მომავალ რეზიდენციათ კურძულ კირსაოს ასახელებენ.

## წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური—ახალი გორი.
მიწის ძვრა საქართველოში.
შ. ბერიძე.—ი. ყიფშიძე.

---

რობამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უკვე გადასდგეს პირველი ნაბიჯი და საქმეს ენერგიულად მოკიდეს ხელი. მაგრამ რაც გინდ დიდი იყოს სურვილი შველის და ორგანიზაციაც რაც გინდ კარგად იყოს დაწყობილი, მაინც ძნელია ერთბაშად ორმოცსამოც ათასი სულის მოწყობა და უზრუნველყოფა ყველა საცხოვრებელი მასალით. ძნელია ახეთი დიდი მაშტაბით თავს დატეხილი მოულოდნელი უბედურების შედეგი ერთი ხელის მოქნევით შემსუბუქდეს. ამიტომაც მოთმინება და ხასიათის სიმტკიცე უნდა გვაჩვენონ საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელნიც სტიქიონის მსხვერპლნი გახდნენ. პირში გამძლეობა და გულდამშვიდება ერთი უდიდესი ფაქტორთაგანია გაჭირვების დასაძლევად. მით უმეტეს, რომ დაზარალებული მოძმენი დარწმუნებულნი არიან, რომ ერი და მთავრობა მათთანაა!

ამ სასწრაფო დახმარებასთან ერთად საჭიროა შემუშავდეს პროგრამა დიდი სახელმწიფოებრივი დახმარებისა, რომ აღვადგინოთ დანგრეული გორი და მისი მიდამო. ქართლის დაქცეული ცენტრი დამოუკიდებელმა საქართველომ უნდა აღადგინოს, უფრო მშვენიერი და მკვიდრი. დაუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ქართველობა არ არის ჩვეული უმწეოდ ქედის დახრას სტიქიონის ძალის წინაშე.

ახალი გორი! ეს უნდა იყოს ერის [illegible]

დამოუკიდებელი საქართველო გამარჯვებული უნდა გამოვიდეს ხალხთა და ბუნების შეთქმულობიდან!

აღვაგოთ ახალი გორი!

---

## პ რ ე ს ს ა

### ბათუმის საკითხი.

„დაშნაკციუთუნის" ორგანო «აშხატავორ»-ი ეხება ინგლისელების ბათუმიდან გასვლის გამო გავრცელებულ ხმებს, აღნიშნავს ოთხ მიმართულებას, რომელთაგან თვითეული ესწრაფის ბათუმის ხელში ჩაგდებას. ესენი არიან: ა) ოსმალეთი, ბ) რუსეთი—ბოლშევიკური, გ) საქართველო და დ) ნეიტრალური მხარე, რომელსაც სურს ბათუმი იყოს თავისუფალი ქალაქი—porto franco შემდეგ, არჩევს რა თვითვეული ამათგანის მოთხოვნილებებს გაზეთი დასძენს:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ინტერესების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რასაკვირველია ერთობ მიუღებელია რუსთა და ოსმალთა უსაფუძვლო და უაზრო მისწრაფებანი. სერიოზულად შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ბათუმის ოლქის ქალაქითურთ საქართველოსადმი შემოერთების ან და ოლქის საქართველოსადმი შემოერთების, და მხოლოდ ბათუმის თავისუფალ ქალაქად დატოვების პროგრამების შესახებ.

საკითხის გადაწყვეტა იქნებოდა პირველი ფორმა, რომ ბათუმს არ ჰქონოდა სასიცოცხლო მნიშვნელობა აზერბაიჯანისა და უფრო კი სომხეთისათვის. იგი ჯერ ერთადერთი გზაა, რომლითაც ეს ქვეყნები დაკავშირებულნი არიან გარე ქვეყნებთან.

სავაჭრო, სამრეწველო და საზოგადოდ ეკონომიური თვალსაზრისით ბათუმს ერთნაირი ფასი აქვს სამივე რესპუბლიკებისათვის. მართალია, საქართველოს აქვს უპირატესობა თავის გეოგრაფიული მდგომარეობით, მაგრამ ისიც მართალია, რომ მას აქვს სხვა ნავთსადგურებიც. აზერბაიჯანს თავისი ინტერესები ბათუმის შესახებ მუდამ შეუძლიან უზრუნველჰყოს თავისი ნავთის დახმარებით. ყოველი ანტიაზერბაიჯანული მოქმედებანი დაუყოვნებლივ ალაგმულ იქნება, რაწამს აზერბაიჯანი შეაჩერებს საქართველოსადმი ნავთის ძლევას.

განსაკუთრებულია სომხეთის მდგომარეობა. ქვეყანას, რომელიც ყველაფერს გარედან იღებს, არ შეუძლიან ჩავარდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მთლად დამოკიდებული იყოს თავისი მეზობლის „კეთილსურვილისაგან". ახლო წარსულში ტრანზიტისა და სხვა საკითხების გარშემო წარმოშობილი დავები საუკეთესო დამამტკიცებელია ამ გარემოებისა. ცხადია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანისათვისაც ბათუმის საკითხის უმჯობესი გადაწყვეტა იქნება მისი ნეიტრალიზაცია—ნეიტრამ ეს ფორმა გამოიწვევს სამართლიან უკმაყოფილებას ქართულ წრეებში.

ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა მხარეები უნდა შეთანხმდნენ ბათუმის ოლქის საქართველოს ტერიტორიად ჩათვლაში იმ პირობით, რომ ქალაქ ბათუმის და ნავთსადგურის შესახებ განსაკუთრებული ხელშეკრულობით იყოს დაცული აზერბაიჯანის და ნამეტნავად სომხეთის უფლებები; ერთი სიტყვით საერთაშორისო უფლებების თვალსაზრისით უნდა შეიქნას ისეთი მდგომარეობა, რომ არც საქართველომ იზარალოს და არც სომხეთის ვაჭრობა და მომარაგების საქმე მისი თვითნებობაზე იქნას დამოკიდებული. ამას ჩვენ ვთვლით საკითხის საუმჯობესო გადაწყვეტათ.

სომხეთის უფლებები და განსაკუთრებული პირობები იმ ზომამდე ცხადია, რომ საეჭვოა ვინმემ სცადოს მისი უარჰყოფა.

დანარჩენი ყოველი „გადაწყვეტანი" მომასწავებელი არიან მძიმე შედეგებისა; პოლიტიკური დავები და ინტრიგები დაუბოლოვებელნი იქნებიან, თუ რომ დაინტერესებულ ქვეყნებთა შორის არ დამყარდა მკვიდრი შეთანხმება. გვინდა დავიჯეროთ, რომ ამ საკითხში მაინც სომხეთის და საქართველოს პოლიტიკური წრეები გამოიჩენენ გონიერებას და შეთანხმებული ძალით უზრუნველ ჰყოფენ თავიანთი ქვეყნების სასიცოცხლო ინტერესებს".

---

# მიწის ძვრა საქართველოში

### საუბარი ობსერვატორიის სეისმიურ განყოფილების უფროსთან.

საქართველოში მომხდარ მიწის ძვრის მიზეზების შეკითხვაზე ობსერვატორიამ გარკვეული პასუხი ვერ მოგვცა. ასევე საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან ამბების მოუსვლელობით გამოურკვეველია თუ რანაირი იყო მიმართულება ძვრას და ეპიცენტრს.

თუმცა, გოგირდის წყლების არსებობა საქართველოში საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ახლახან მომხდარი მიწის ძვრა იყო არა ვულკანიური ხასიათის (როგორც ამბობდნენ თითქოს იალბუზმა გაანახლა მოქმედება) არამედ წმინდა ტექტონიური.

სეისმიური საათი, დამდგარი ძლიერ ძვრის დროს მის დასაწყისს გვიჩვენებს დილის 3 ს. 1 წ. 22, 27 წუთ.

ძვრის მიმართულება, როგორც ღამის, ისე დღის (2 ს. 41 წ.) უნდა იყოს სამხრეთ—აღმოსავლეთით, ჩრდილო—დასავლეთისკენ, ან და ჩრდილო—დასავლეთით სამხრეთ—აღმოსავლეთისკენ.

ნამდვილი გაგება ძვრის მიმართულების ან და ეპიცენტრისა შეგვიძლიან მაშინ როცა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან მოგვივა სათანადო ამბები მიწის ძვრის შესახებ.

გავრცელებული ხმები, თითქოს დიდ თოვლიანობას კავშირი ჰქონდეს მიწის ძვრის მიზეზებთან ობსერვატორიის მიერ უარყოფილია უფრო მოსალოდნელია ეს იყო ჩვენი იქათი სტუმარი ციმბირის ანტიციკლონი, რის შედეგებიც თანდათან ყუჩდება.

# გორში

(საკუთარ კორესპონდენტისგან)

**თებერვლის 20.**

**თბილისის სადგურზე.**

თორმეტი დაიწყო.

თბილისის სადგურზე ჩვეულ მოძრაობაა.

გორის უბედურებაზე არავინ ლაპარაკობს.

არც გორისკენ მიმავალი მატარებელი სჩანს.

სადგურის უფროსსაც კაბინეტის კარი გამოუკეტნია.

ვნახულობ სადგურის უფროსის თანაშემწეს. ცივად მიპასუხებს: „ერთი მატარებელი დილას ათ საათზე გავიდა. მეორე ოთხის-ნახევარზე გავა. სხვა მატარებელი არ იქნება. სახლში დაბრუნება აღარ ღირს. ვარჩევ მოლოდინს.

მალე ბილეთების კასასთან მგზავრები წყებად დადგნენ. არიან გორისკენ მიმავალნიც.

ქალაქში უკვე გავრცელებული ხმები ზოგს მათგანს ჭორი ჰგონია.

მე მიხდება სამწუხარო ცნობის დადასტურება:

— ქალაქის თვითმმართველობა იტყობინება: მართალია. გორს დიდი ზარალი მოსვლია.

მალე, გორი და მომხდარი უბედურება სალაპარაკო საგნად ხდება. დედაკაცები მუხლებში იცემენ და ნანახ სიზმრებს უამბობენ:

— განა არა, ქა, ძალიან ცუდად მაქვს დაცდილი.

რიგი იზრდება.

ინტელიგენცია 1 და 2 კლასის საბილეთო კასასთან ჩერდება. მათ სახეზე ადვილად ამოიკითხამთ ქალაქის თვითმართველობის დეპეშას.

ბილეთების გაყიდვაც დაიწყო.

სამზე სადგური ბათომის მატარებელმა აახმიანა. გორში მიმავალნი მომავლებს კითხულობენ. ეძებენ ნაცნობებს. როგორ არიან?

— კარგად თქვენები დღეს ვნახე ახლებიც ცოტა დაზარალებულია. მსხვერპლი სამიოდეა.

— მაშ რა იყო ისეთი დეპეშის გამოგზავნა ქალაქის თვითმართველობისაგან?

სამი საათია.

— ვაიმე!.. შენიშნეთ კიდევ ინძრა მიწა. ვაი თუ გორშიც გამეორდა!

**მატარებელში**

ვაგონებს ალებენ.

გორისკენ მიმავალი ინტელიგენცია ერთ ვაგონში იკრიბება.

ათიოდე ვაჟკაცი. უმრავლესობა კი—ქალები, მანდილოსნები.

ვაგონში ცრემლიანი საუბარი გორზე. ვაჟების დამამშვიდებელი სიტყვები.

საუბრის თემა: მიწის ძვრა საერთოდ, მიწის ძვრის მოლოდინი კიდევ გორში, ვულკანი და სხვა.

არის მოგონება შემახასი, მესსინასი, ეტონოსის.

მე მაგონდება კუნძული იავა Krakatoa-ს კატასტროფა. 200 ათასი დაღუპული კაცი და ნიცშეს გენიალური ღიმილი.

არის ოცება ბუნების სიძლიერის წინაშე.

ბევრს ლაპარაკობენ ფიზიკურ ობსერვატორიაზე.

აქა იქ წუხილი კაცის უმწეობაზე.

**მცხეთაში.**

5 საათია.

გავიარეთ ღრმა ღელე ავჭალა ვართ მცხეთაში. მცხეთელები გადმოგვცემენ: „ჩვენში ზარალი არ არის".

სალონ ვაგონის ფანჯრიდან მოსჩანს გ. გვაზავა, ლომთათიძე, სოსიკო მდივანი, ონიაშვილი, ფირცხალავა, ვეშაპელი.

**კ ა ს პ შ ი.**

მალე კასპს ავცელით.

ველით ბათომის მატარებელს. კასპში მშვიდობაა. აქ მყოფნი კითხულობენ თბილისს.

— კიდევ ხომ არ იქნება მიწის ძვრა?

— რას ამბობენ?

გაისმის შეშინებულთა კითხვები.

მატარებელი დიდხანს ჩერდება.

7 საათია. ბათომის მატარებელიც მოვიდა.

მოგვითხრობენ ნაშუადღევის სამ საათის მიწის ძვრით მომხდარ საშინელებას.

— ზღაპრად აუწერელი საშინელება დაატყდა გორს. ქალაქი მთლად ჩანგრეულია. გადმოგვცემს ერთი მგზავრთაგანი.

სტყდება საშინელი წივილი, ლაწვების ხოკვა და თმის გლეჯა.

— მიშველეთ! ვაიმე შვილებო,

— დედა!!.

— ეს რა უბედურებას შევესწარით!..

მატარებლით მოსული მოძრაობის უფროსი აბელაშვილი თათბირობს პრეზიდიუმის წევრებთან.

თათბირი გრძელდება

გორში მიმავალნი ელოდებიან.

მოითხოვენ მატარებლის სასწრაფო გამგზავრებას.

ექიმი ქალი კობერიძე დაჟინებით შეიჭრა თათბირზე.

გარედ მღელვარე ხალხს მალე თათბირის გადაწყვეტილება ეუწყებათ:

„წავიდეთ სადამდისაც კი შესაძლებელია. მღელვარენი კმაყოფილდებიან. 10 დაიწყო. მატარებელი დაიძრა.

ჩვენს ვაგონში დიდი მწუხარებაა. თვით უიმედო ვაჟკაცნი ქალებს ამხნევებენ.

**გ რ ა კ ა ლ შ ი.**

ათზე გრაკალში ვართ.

მეორე მიწის ძვრის დროს სადგურის უფროსის კაბინეტი საშინლად დაზიანებულა.

სადგურს აღარ შეუძლიან ურთიერთობის გაბმა უფლის-ციხესთან.

მგზავრებს ეუწყებათ, რომ მატარებელი დილამდის გრაკალს დარჩება. ცნობა უკმაყოფილებას იწვევს.

— დიდი უაზრობაა, ბატონებო, ჩვენი ამაღამ გამგზავრება, ისმის ლომთათიძის ხმა, არ ვიცით როგორია გზა. პასუხს არავინ გვაძლევს, და როგორ შევიძლიან გავემგზავროთ.

— მაშ რა ვქნათ, ბატონო, ცოლშვილს და ნათესავებს მიხედვა არ უნდა? იქნებ როგორ უჭირთ ჩვენი თავი? ისმის ხალხიდან.

— მერე თქვენ ექიმი ხართ? რა უნდა უშველოთ ან იცით კი სად იქნებიან თქვენები?

— თუ მატარებელს არვინ მიიღებს როგორ წავალთ?—დასძენს სოსიკო

ხალხმა ფეხით წასვლა გადასწყვიტა.

— აბა, ხალხო, ვინ მოდიხართ ფეხით, წავიდეთ.—გაისმა ექიმი ქალის კობერიძის ხმა.

წამს ჯგუფი მოემზადა.

თერთმეტია დაწყებული.

მეც იასონ კერესელიძესთან ერთად ფეხით გავემგზავრე.

თბილა. აღარ თოვს. შორი ახლო მინდვრად ცეცხლები ჩირაღდნებად მოსჩანან. ხალხი მინდვრად არის გამოსული. გზაში არვინ გვხვდება. მივდივართ აჩქარებით ჯგუფს უსწრობთ.

აღარც ერთი სადარაჯო არ არის გადარჩენილი.

თორმეტის ნახევარზე უფლის ციხის სადგურზე ვართ. სადგური დანგრეულია, ჩაბნელებულია ლიანდაგის მარცხნივ. ფიცრულ ქოხიდან გამოკრთის შუქი. ისმის ბავშვების და დედაკაცების ტირილი. უფლის-ციხელები გამოხიზნულან. ასურდა დასვენება. ვერ შევძელით ექვსი ვერსი და დაგვრჩა გორამდის.

გავუდექით გზას. თოვს. გზაში შეგვხდა გორს მიმავალი 40 მდე მესანაგრე ჯარისკაცი. ჩვენ ფეხი ავაჩქარეთ და მათაც გავუსწარით.

ლიანდაგის ორივე მხარეზე აქა იქ ნაშალ მიწას პირი აქვს დაღებული. თოვლს ვერ ამოუვსია.

**ღამე გორში.**

პირველის ნახევარია. გორის სადგურს მიუახლოვდით.

მე და ჩემი თანამგზავრი კვლავ მოსალოდნელ უბედურებაზე ვლაპარაკობთ. წამი-და კვლავ ინძრა მიწა.

როგორც უხედნი რაშის ზურგი, უნაგირის დადგმის წინ, ისე ათრთოლდა დედა მიწის ზედაპირი. შევჩერდით. სადგურის მარცხნივ ჩალეწილ შუშების ხმა ქალის საშინელმა კივილმა ჩაჰკლა. მივდივართ შუა ლიანდაგზე. მიუახლოვდით ხიდს.

— სადაურები ხართ?

გამოგვძახა ხიდის ყურს მდგარმა კაცმა.

— თბილისიდან მოვდივართ, გორელები.

— რა ამბავია ქალაქში.

— მშვიდობა.

— ეჰ აქ კი დიდი უბედურებაა. აი დღეს ქადაგები დაეცნენ. წინა გორგი აცხადებს მირწმუნეთო.

ამდენი უბედურება გაჩვენეთ და თუ ახლაც არ მირწმუნებთ ორშაბათიდან ცეცხლს გაჩვენებთო.

მე მსურდა შეჩერება, მაგრამ ჩემი თანამგზავრი ვეღარ ითმენდა და ჩვენ მოსაუბრეს ჩამოვშორდით.

გავედით ხიდს. იგი არ არის დაზიანებული.

ჩემი თანამგზავრი დაჭრილ ირემივით მიიწევს თავის სახლისკენ.

კიდევ ბედნიერება, რომ ოჯახი კარგად დახვდა. მისი სახლი დაზიანებული აღმოჩნდა. მთელს უბანს თავი მოეკრიბა გზის შუაგულს დანთებულ ცეცხლის გარშემო. იქვეა საბნების კარავი. ბავშვები წვანან, მაგრამ არ სძინავთ. ცეცხლით განათებულ მწუხარე სახეებს თავზე ათოვთ. ელიან კვლავ მიწის ძვრას. არ ეძინებათ. ელიან საბედისწერო 3 საათს. ჯერ იგი შორს არის, მაგრამ ყოველ 5, 10 და 15 წუთს მაინც საგრძნობია მიწის ძვრა.

ხიდის ყურიდან სიმღერა მოგვესმა. გავეშურე ამბის შესატყობლად. სიმღერის შემდგომ შემდეგი საუბარი შემომესმა: „ჩვენ ქართველები—ურილაჯო ხალხი ვართ. იქნებ ბუნებამ იქნებ ერთი სიმდიდრე ამოხეთქოს, რომ ამ უბედურების შემდეგ ყველაფერი დაგვავიწყოს".

ცეცხლს მწუხარების მკვლელი ახალგაზდები შემოსხდომოდნენ. შამფურით ინდაურს ატრიალებდნენ და ერთიერთმანეთს ღვინოს სთავაზობდნენ.

საბედისწერო სამ საათმა ჩვეულებრივ მიწის ძვრით გაიარა.

ბავშვებს და მოხუცებს ცეცხლის პირს მიეძინათ.

დილის 7 საათამდის კვლავ რამდენჯერმე გამეორდა უშედეგო მიწისძვრა.

**დანგრეული გორი**

შვიდ საათიდან მე და ჩემი თანამგზავრი დანგრეულ ქალაქის დათვალიერებას შევუდექით.

რასაკვირველია ვერც შაჰაბაზს და ვერც შაჰნადირს არ შეეძლოთ გორის ისე მოოხრება, როგორც ეს შესძლო ბუნების ბოროტმა გაღიმებამ კაცის უმწეობაზე.

მის ნანგრევებს მაღლა სპარსეთის ნაგები გორის ციხის ნანგრევები ემატება. გორის ჯვარი, ნინოს ლოცვით დამხობილ არმაზის სამსხვერპლოს ჰგავს. ესუდიდესი ნაშთნი ერთიერთმანეთს [illegible]

**ერთობის ქუჩაზე**

დაზიანებულია თითქმის ყველა შენობა. გადარჩენილა პატარა ფიცრულები. მათი რიცხვი 4-5 არ აღემატება.

**ქალთა გიმნაზია**

(ყოფილი სასულიერო სასწავლებელი) ჩამონგრეული აქვს ეკლესიის საკურთხევლის ნაწილი.

კანცელი გადარჩენილია. ხატები ზურგშექცეულნი იყურებიან. პირველ მიწის ძვრით მას მხოლოდ ჯვარი მიუწვა.

**ქალთა პრა-კერვის სასწავლებელი** საგრძნობლად არის დაზიანებული.

**თვითმართველობა** საკმაოდ არის დაზიანებული. შესვლა შეუძლებელია, მით უმეტეს მუშაობა.

**კლუბი** ძალიან არის დაზიანებული.

**ვაჟთა გიმნაზია** რომელიც მოთავსებულია ალ. მთვარელიძის სახლში (ძველი შენობა) მთლად ჩანგრეულა.

**ქალაქის თვითმართველობის აფთიაქი** საგრძნობლად არის დაზიანებული.

**გ. ამილახვარის სახლს** გარედან ნანგრევები არ ეტყობა. შიგნით კი დაზიანებულია. შესვლა არ შეიძლება.

**ერობა** საგრძნობლად არის დაზიანებული.

**ფოსტის** მისავალი ნაწილი მთლად დანგრეულია. მოჩანს აყირავებული სკამები და გადმოშლილი დავთრები.

გვარდიის შტაბი ოდნავ არის დაზიანებული.

**პროფ. ხახანაშვილის სახლები** საგრძნობლად არის დაზიანებული.

**რუსთველის ქუჩაზე**

რუსთველის ქუჩის დასაწყისი ნაკლებ არის დაზიანებული.

ნანგრევები იწყება გ. ხახანაშვილის სახლებით.

შემდეგ ხაზინამდის დიდი ნანგრევები არ არის.

**ხაზინას** მხოლოდ წარწერა ჩამოვარდნია.

**წერეთლის ქუჩაზე**

წერეთლის ქუჩა საშინლად არის დაზიანებული.

**ოქონის სამრეკლო** მთლად გადმონგრეულია. დარღვეულია კედლები.

**მიძინების ტაძარს** (სობოროს) პირველ მიწის ძვრაზედვე იატაკიც გადარღვევია.

ბანკის წინ გორაკები სავსეა ჩამონგრეული ქვით და აგურით.

**შეფის აფთიაქს** კედლის დიდი შუა აქვს გატეხილი შენობა არ დაზიანებულა. სომხის ეკლესიები დაზიანებულია.

**ხამების ქუჩაზე:**

**ხამების ეკლესია** საშინლად დაზარალდა.

**გარეთ უბანი.**

გარეთ უბანი გორის უღარიბესი ნაწილია იგი პირველ მიწის ძვრაზედვე საშინლად დაზიანდა. ყველაზე მეტი მსხვერპლიც ამ ნაწილს მოუვიდა.

თებერვლის 21—დილის ათ საათამდის ამოჩენილი 40-მდე გვამი. მძიმედ დაშავებულთა რიცხვი 20 აღემატებოდა

**ჟორდანიას ქუჩაზე**

არის მსხვერპლი ჟორდანიას ქუჩაზედაც.

დაშავებულია დავ. მაჭავარიანი მეუღლით ნანგრევებს მოჰყვა ყოფილ ანენსკის ქუჩაზე მცხოვრები გოლა პატარიძის 10 წლის ბავშვი.

კოპინოვის ეზოში—დახოცილნი არიან დედა შვილნი.

**სამტატო სემინარიის შენობა** დანგრეულია.

**ენელმანის ქუჩაზე**—ზაზიაშვილი გიორგობა.

**გარეთ უბანში იაკოვის ქუჩაზე** ლოლაძის ქვრივი.

**კვირაცხოვლობის ქუჩაზე.**

მთლად განადგურებულია ნარიაშვილების, ოქრომჭედლიანისა და ციცაგიანთ სახლები მთელს ამ უბანში და შეიძლება ითქვას მთელს გორში გადარჩენილია მხოლოდ ერთად ერთი მღ. კავსაძის სახლი, სადაც შესვლა შეიძლება.

**პირველდაწყებითი სასწავლებლები**

არ არის გადარჩენილი არც ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

კობერიძის საავადმყოფოც დანგრეულია.

სატუსაღო ჩანგრეულა პირველ მიწის ძვრაზედვე. უმსხვერპლოდ ტუსაღები დილით გალავანში იყვნენ.

**დუდკინის სახლი**

ციხის მახლობლად დაზიანებულია ჩამონგრეული აქვს მეორე სართულის დასავლეთის კედელი.

**სასამართლოც** დაზიანებულია.

**დაზარალებული ხალხი**

მთლად გორში არ არის გადარჩენილი არც 30 სახლი სადაც შეიძლებოდეს თავის შეფარება. ხალხს თავი მოუყრია მოედანზედ (კობერიძის საავადმყოფოს წინ და სასწორზე) და დიდ ეზოებში. არ არის ოჯახი, რომ ყველაფრის გამოტანა მოესწრო. ზოგნი უტანსაცმელოდ, საბნების ამარა არიან დარჩენილნი.

ჩემ წამოსვლის წინ ერობა საკარვე ტილოებს ურიგებდა რაიონის წარმომადგენლებს.

ქალაქიდან პური ჯერ არსად სჩანდა.

თვით გორში პური არსად არ იშოვება. ყარ უმადო და მთელი დღის მშიერი.

**გ ზ ა შ ი.**

დილის ათ საათზე ვეთხოვები ჩემს თანამგზავრს და მოვდივარ გრაკლისკენ ფეხით. ხიდისთავთან გორისკენ მომავალი სანიტარული მატარებელი მხვდება. მალე გორისკენ მომავალი მგზავრებიც გამოჩნდნენ. მათ შორის ღამით გრაკლიდან წამოსულებიც არიან.

ცალკე მიდიან სოსიკო მდივანი, ს. ფირცხალავა ი. ქარცივაძე „სახალხო საქმის" კორესპონდენტი ბებიაშვილი.

**ხიდისთავ-ოხერა**

გზაში ხიდისთავისკენ შევიარე. ოხერა (ხიდისთავის ნაწილია) მთლად განადგურებულია. მსხვერპლი ხიდისთავ ოხერაში 80 აღემატება.

**დაზარალებული სოფლები**

გორიდან მომავალს ხვდებოდნენ სხვა და სხვა სოფლელები. ზოგი მათგანი გორს ისწრაფვოდა, ზოგი კი მახლობელ სოფლებში ნათესავ ნაცნობების ამბის შესატყობად მათი გადმოცემით დაზარალებულია შემდეგი სოფლები:

**ტინის ხიდი** (გორიდან 3 ვერსზედ ჩრდილო-დასავლეთით) საშინლად არის დაზიანებული მსხვერპლი დიდია.

**ხვედეთი** (ჩრდ.-აღმ. 6 ვერსზე პატარა სოფელია საშინლად არის დაზიანებული.

**სკრა** საშინლად დაზიანებულია. ნაპრალების მნახველი ვერავინ ვნახე. გორში ეს ცნობა არ ეჯერებოდათ.

**ხელთუბანი** საგრძნობლად არის დაზიანებული.

**კარალეთიდან** არავინ მინახავს, ამბობენ არ უნდა იყოს დაზიანებულიო.

**ცხინვალელი** ოსების თქმით ცხინვალიც დაზიანებულა

უფლისციხეში დაზიანებულია მხოლოდ სოფელი. თვით უფლისციხე გადარჩა. გვირაბის მაღლა ამართული კედელიც კი არ დაზიანებულა. სოფლელები დაზიანდნენ საქონლით და სახლებით. ხალხი მინდვრად სცხოვრობს. მსხვერპლია მატულ ნაზარაშვილის სახლში, სადაც მონგრეულ სახლს მოჰყვნენ მეფე პატარძალი და მექორწინენი. ზოგი მათგანი დასახიჩრებულია. სამი მკვდარია.

**ხოვლე** ძალიან დაზარალებულია.

**ხანდაკი და მეტეხი**—საგრძნობლად.

**დოესი**—ძალიან. ხალხი სახლებში არ შედის. მსხვერპლია უხურგუნაშვილის სახლში, თათარაშვილისაში და ზუბიაშვილისაში. დანგრეულია აგრეთვე სკოლა და რევაზ ერისთვის სახლები, სადაც გრობა იყო მოთავსებული.

**უფლის-ციხის სადგურზე.**

თორმეტ საათზე უფლის-ციხის სადგურზე მოველ. ორ საათამდე გორიდან წამოსასვლელ სანიტარულ მატარებელს ველი.

ორზე გრაკლიდან ამოვიდა ის მატარებელი, რომელითაც გუშინ თბილისიდან წამოველ.

გრაკალში ფეხით ჩამოველ. დარბაზში შეისვლება. ბილეთებიც გაიყიდა. 7 საათზე გორიდან პირველი სამგზავრო მატარებელი დაბრუნდა. ცხრაზე თბილისს ჩამოველ. მატარებელი სავსე იყო მახლობელ სოფლების და უმთავრესად გორის ლტოლვილებით.

ხსენებულ მატარებლით გორს ჩამოვიდნენ თაყდგირიძენი, ჭიჭინაძენი, ლოლაძიანი, დავ. ონიაშვილის ოჯახობა, თულაშვილები, ზუოკაძეები, ნაროშვილები, ლოშაური, დიდებულიძეები, კეჩხუაშვილები, კაიხაურები, ბოჭორიძენი, ლობჟანიძენი, მღ. კალგარეთელი, ექ. ელიზაშვილი და შავებულ ბავშვით, ხიმინვები, კაკასიძენი, კახრიძენი, (გადაას. ნ.-პ.) კასრაძენი (კოოპ. მაღ.) იზორეული შვილები, ბეჟანიშვილები, კაპანაძეები, სვიმონიშვილები და სხვა. ლტოლვილების გადმოყვანა გრძელდება. არის ქვაზე შეშლილები შეშინებულები. ბავშვებს [illegible] უბედურებაზე საუბრის დროს თვალები უდიდდებათ, და დედებს ეკვრიან. ქვაზე შეშლილობის ნიშნები აქვს მოხუც მარგარიტა კარკოშვილს.

კვირას თბილისის მეორე საბარგო მატარებელი და სანიტარული მოვიდა. ჩამოიყვანეს მრავალი დასახიჩრებულები.

ს. ი—ი.

## განადგურებულ გორში

(სპეციალურ კორესპონდენტისაგან)

ჩვენი თანამშრომელი დ. პავლიაშვილი საგანგებოდ გაგზავნილი რედაქციისაგან გორში, შემდეგნაირად აგვიწერს გორის ტრაგედიის ამბებს.

**ხმები გორის განადგურებისა გამართლდა.**

თბილისში რომ პირველად მივიღეთ რედაქციაში თავზარდამცემი ამბავი გორის განადგურების შესახებ, მე სწორე მოგახსენოთ, სკეპტიკურად შევხედე ამ გადმოცემას, ეხლა კი, როცა ჩემი თვალით ვნახე და ჩემი ყურით მოვისმინე, ყველა ის, რაც დღემდის გვქონდა შეტყობილი გორის შესახებ, საბუთს მაძლევს დაგარწმუნოთ, რომ ქ. გორი სრულებით განადგურებულია.

**საქართველოს მესინისაკენ**

მესინის ტრაგედიის მხილველი არა ვარ, მაგრამ ჩვენს გონებაში ეს ორი მცნება შედარებისა ჩემს ფიქრთა დენას მისვენებას არ აძლევდა პირველად რომ მატარებელში ჩავჯექი.

ამ მატარებლით მიემგზავრებოდა პირველი დამხმარე მატარებელი სურსათ სანოვაგით და სათბობით.

ღამის 11 საათზე ამავე მატარებლით მიემგზავრებოდა გორის მთავრობის დამხმარე კომიტეტის წევრნი იუსტიციის მინისტრი ბ-ნი არსენიძე (თავმჯდომარე), რესპუბლიკის სასანიტარო საექიმო საქმის გამგე ექ. ს. ჯაფარიძე წითელი ჯვრის მთავარ რწმუნებული ექიმი მ. ო. ზანდუკელი, ექიმები გომართელი და ლამბაშიძე და სასანიტარო რაზმის 25 სტუდენტ ქალვაჟთაგან შემდგარი.

დღის პირველმა შუქმა მატარებელში ფეხზე დაგვაყენა. სადგურ ქსანს უახლოვდებოდით. ირგვლივ ქსნის ახლო-მახლო სტიქიის ძალს არავითარი დაღი არ დაესო. გავიარეთ კავთისხევი, მიუახლოვდით სად. კასპს და აქაც გულის დამამშვიდებელი ცნობები მივიღეთ. მეტადრე ამ არემარის გადარჩენაზე გვაუწყა გვარდიის ნაწილმა რომელიც სიმღერით და ლხინით მიემგზავრებოდა ბათომის მიმართულებით.

**სტიქიის პირველი აჩრდილი.**

სადგურ მეტეხმა პირველმა გვაუწყა ქართლის უბედურება.

სადგურის შენობის ნაპრალები, ჩამოქცეული ბუხრები, გვერდზე გადაწოლილი მუშების სადარაჯო ს. მეტეხის ძველი სავანის მოგლეჯილი ჯვარი ყველა ეს მოწმობს, სტიქიის ქარიშხალის გარდადენას ამ მიდამოებზე.

მეორე სადგურიც გრაკალისა, ამავე სამწუხარო სანახაობას წარმოადგენს. აქ სადგურიდან თვალნათლივ ხედავთ მახლობელ სოფლის შენობათა შემუსვრასა და ძვრას. მთელი კომისიის შემადგენლობა ათვალიერებს დარღვეულ, ალაგ-ალაგ ჩამოწოლილ სადგურის შენობას, თუმცა გულის ფანცქალით, მაგრამ მაინც ბედავს შიგ რღვეულ სადგურში შესვლას, რომელიც, თითქმის, თავზე აპირებს ჩამონგრევას. გაშტერებული სადგურის უფროსი ვ. თუხაოელი თავის მცირე შტატით ბედავს მუშაობას ამ საშიშ პირობებში. მიწის ძვრის დროს ოჯახით მყოფ ზედა სართულიდან მას ძირს ძლივ მოუსწრია, თვითონ თავში დაშავებულა, ოჯახი გადარჩენილა და ქალაქში გამოუგზავნია. თავმოყრილმა გლეხკაცობამ დინჯ ქართლელის ენით, გადმოგვცა თავიანთი უბედურება და ჩამოგვითვალა დაზარალებულ სოფლების ხუსხა; მათი სიტყვით დაზარალებულა მიწის ძვრისაგან სოფლები: დოესი, ქვაოხლელი, ხანდაკი, გრაკალი, სასიოეთი, მეტეხი, ბარხაიანთ კარი, უფლისციხე. სადგურის უფროსმა სთხოვა ი. არსენიძეს ითახლიხა ბრძანება რომ გადაეტანათ ტელეგრაფი და ტელეფონი ვაგონში, ვინაიდან მეტად საშიში დანგრეულ სადგურში მუშაობის გაგრძელება ი-ნ არსენიძემ აღუთქვა სასწრაფო განკარგულების [illegible] მეორე სადგურზე [illegible] დაავალა სად. გრაკლის უფროსს [illegible].

(დასასრული იქნება)

## საპარლამენტო კომისია გორში

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა საპარლამენტო კომისიის ერთ ერთ წევრს რომელმაც გაგვიზიარა თავისი შთაბეჭდილებანი გორში მოგზაურობის შესახებ.

„მიწის ძვრის დღეს საპარლამენტო კომისია რომელშიაც შედიოდნენ: ბ-ნნი ლორთქიფანიძე, ს. მდივანი, ს. ფირცხალავა, გ. ვეშაპელი, ბადრიძე, გ. გვაზავა ვ. მგელაძე და სხვანი, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა გორში მომხდარ ამბების გამოსარკვევად და დახმარების აღმოსაჩენად. გრაკალამდე რომ ჩავედით, გამოგვიცხადეს რომ შემდეგ წასვლა შეუძლებელია რადგან ნიადაგი ჯერ კიდევ ირყეოდა. რყევა გაგრძელდა ლოოგამოშვებით მეორე დღის 11 საათამდე გრაკალს იქით ბაქანიდან ფეხით მოგვიხდა წასვლა.

**გ ო რ ი**

გორის სადგური სულ მთლად დანგრეულია. ქუჩებში ხალხი ნაკლებ მოსჩანს ალბად სოფლებში არიან გახიზნულნი მაგრამ ვინც დარჩენილა, ნახევრად შეშლილის შთაბეჭდილებას სტოვებს, ისეთი მწუხარებით არის მოცული, ქუჩებში შეჰხვდებით საზარელ სურათებს აქ დედა მისდგომია ნანგრევებს და დასტირის თავის შვილს რომელიც ნანგრევებში მოყოლილა, იქ შეშლილის სახით ბავშვები დაეძებენ მამას. გზებზე ქალები და ბავშვები მოწყალებას ითხოვენ. საერთოდ მეტად საზარელ სურათს წარმოადგენს განადგურებული გორის ქუჩები.

სადგურზე ხალხი ასობით არის დაგროვილი და ელის მატარებელს. მიწის ყოველი მცირე ძვრა ხალხში დიდ შიშს იწვევს, აიშლებიან გაიფანტებიან დამფრთხალნი და ისევ დასხდებიან.

გორში არ არის არც ერთი შენობა, რომელშიაც ცხოვრება შეძლებოდეს.

ფოსტის შენობა, რომელიც გარედან კარგად გამოიყურება, შიგნით მთლად ჩანგრეულია. გორში საგანგებოდ გამართულ კრებაზე ავირჩიეთ კომისია, რომელსაც დაევალებოდა კარში დარჩენილ ხალხის პატრონობა და დახმარება. კომისია ხუთი კაციდან შესდგებოდა: გვარდიის, ქალ. თვითმართველ. ერობის და სხვათა წარმომადგენლებისაგან. თავმჯდომარედ აირჩიეს დამფუძნ. კრების წევრი ონიაშვილი, ამის შემდეგ ჩვენ გავსწიეთ ახლო მახლო სოფლების დასათვალიერებლად.

**ხ ი დ ი ს თ ა ვ ი**

ხიდისთავი მიწასთან არის გასწორებული. სახლებისაგან მხოლოდ ყორეებია დარჩენილი. აქაც ის საზარელი ამბები როგორც გორში ირგვლივ ტირილი და ვიში.

თოვლში, მინდვრად დარჩენილი ხალხი ნანგრევებს აღარ ეკარება, ბავშვები და ქალები პერანგის ამარა, ღამის ტანისამოსში სიცივით იყინებიან. ბევრ ერთი ქალი რაღაცას დასტირის ჩავხედეთ თოვლში ბაწია თეთრბახეთქილი ბავში უდევს, იქ ერთი გლეხი ბარით დასდგომია და მიწას თხრის, ცოლშვილს ეძებს.

**მთავრობის ღონისძიება**

ჩვენ თან მიგვქონდა 5.000 ფუთი პური კარვები და იურტები. ეს კარზე დარჩენილ ხალხს დაურიგეთ.

თან მოგვყვებოდა რამდენიმე ასეული მესანგრეებისა რომელნიც დამარხულთა მოთხრას შეუდგნენ. ყოველ დღე იგზავნება რამდენიმე ათასი ფუთი პური და ტანსაცმელი. რკინიგზის გახსნის შემდეგ მოგზაურობის საშუალება უფასოდ ექნება.

**უკან გზაზე**

უკან გზაზე ვაგონში გამართულ კრებაზე კომისიამ დაადგინა რომ მთავრობამ ყოველივე ღონე იხმაროს გორის აღსადგენად. ამისთვის გადავსწყვიტეთ ეთხოვოს მთავრობას 20 მილიონი ეხლავ გადასდოს. გარდა ამისა დავადგინეთ რომ შესდგეს გორის დამხმარე კომიტეტი რომელსაც თავმჯდომარედ ეყოლება მთავრობის რომელიმე წევრი.

**დანგრეული სოფლები**

დანგრეულია შემდეგი სოფლები: ხიდისთავი, ბერბუკი სვენეთი, თორტიზა, კარალეთი, სკრა, გორისჯვარი ტინისხიდი, რუისი, ატენი, უფლის ციხე, მეტეხი, სასირეთი, გრაკალი, დოესი, ყარაღაჯი და სხ.

## სამღვდელოებაში

გორის მაზრაში მიწის-ძვრისაგან დაზარალებულთათვის შეკრებილ იქმნა კვირას, თებერვლის 22, ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში 2058 მან. 68 კაპ. ფული წარდგენილ იქმნა კათოლიკოზ პატრიარქთან.

**ამიერ-კავკასიის ბანკის გამგეობამ** და მოსამსახურეებმა გორში და გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ შესწირა 20 ათ. თავის თვიური ჯამაგირიდან, სულ 35.000 მან.

## დუშეთიდან

საკუთარ კორესპონდენტის ცნობით თებერვლის 20-ს ქ. დუშეთში საგრძნობად იძვრა მიწა. მრავალი შენობაა დარღვეული და გაბზარული. მსხვერპლი არ არის.

დაბა ახალ გორში ხუთი სახლი დაიქცა, მრავალია დაზიანებული სახლებიც. მიწის ძვრას ასევე დაუზიანებია დუშეთის მაზრაში ბევრი სოფელი მაგრამ საბედნიეროდ მსხვერპლი არსად არის.

## ახალქალაქიდან

რედაქციაში შემოსულები გვაუწყებენ, რომ მიწის-ძვრამ ახალქალაქის მაზრაში (სამცხეში) რამდენიმე სოფელი გაანადგურა. ეს ცნობა ჯერ ჯერობით არ არის დადასტურებული.

## ახალსენაკიდან

თებერვლის 20. თებერვლის 20-ს დილის სრულ 1 საათზე მიწის ძვრა მოხდა. განმეორდა ზედი ზედ ორჯერ. მეორე უფრო მძლავრი იყო, გაგრძელდა ხუთ წამამდე, იმავე დღეს ნაშუადღევის სამ საათზე მიწის ძვრა განმეორდა, ისე მძლავრი იყო გაგრძელდა ხუთი წამს.

## ს. რუისიდან

თებერვლის 20-ს მიწის ძვრამ დაარბია ს. რუისიც. დანგრეულია რამდენიმე სახლი და ჩამოქცეულია რუისის უძველეს ტაძრის მთელი კედელი.

## მეტეხისა და მანგლისის ტაძრების დაზიანება.

მიწის-ძვრამ საგრძნობლად დააზიანა უძველესი ისტორიული ნაშთები—მეტეხის და მანგლისის ტაძრები, პირველი აგებულია ვახტანგ გორგასლანის მიერ (VI) ხოლო მეორეს საძირკველი ჩაუყარა საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე მირიანმა.

## გორის დარბევა

„გამოვიდა კოსტანტინე აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი და დაჯდ სომხეთ მეფე სუმბატ ტეზერაკალი და მოილაშქრა სპითა დიდითა და მოადგა უფლისციხესა და... აღმოავგს ზემო კერძო და წარიღეს ციხე ფერხითა, ხოლო კეთილად იმზარნეს სუმბატ და კოსტანტინე და უპყრა უფლისციხე და ქართლი“.

აი ის ცნობა, რომელსაც გვაწვდის ჩვენ ისტორია, სახელდობრ მატიანე ქართლისა (იხ. ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, თბილისი 1906 წ., გვ. 225-226) შესახებ სომეხთა ლაშქრის შემოსევისა უფლისციხეში მე-9 საუკუნეში სომხეთა „მეფის“ სუმბატ აღმსარებელის, ქართულ წყაროებში შეცდომით „ტეზერაკალ“ (უნდა იყოს „ტიეზერაკალ“), ესე იგი „სამყაროს მპყრობელ“-ად წოდებულის (იხ. ჩემი Пещерный городъ Квахрели,—„Извѣстія Кавк. Музея“, т. 9, გვ. 218) მეთაურობით.

ეს იყო იმ დროს, როდესაც გორის ხსენება საერთოდ არც-კი იყო და ქართლის შუაგულში თვალსაჩინო ქალაქდებებად, თვით ციხე-სიმაგრეებით, „ქართლის-მოქცევით“ (შატბერდისეული ვარიანტით) ითვლებოდნენ: სარკინე ქალაქი, კასპი-ურბნისი და ოძრახე და ციხენი მათნი—ციხე დიდი სარკინისა, უფლისციხე კასპისა, ურბნისისა და ოძრახისა“ Е. Такайшвили. Описаніе рукописей, т. II. გვ. 708).

საზოგადოდ მე-11 12-ე საუკუნემდე ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი ცნობა გორის არსებობის შესახებ, და თუ ჩვენ აწ რაიმე საბუთი გვაქვს გორის და მის, როგორც ქალაქის, დაარსების შესახებ, ეგ—მხოლოდ და მხოლოდ მე-12-ე საუკუნის სომეხ მემატიანეს მათე ურჰაელის ანუ ედესელის „ისტორია“-ა, გამოცემული იერუსალიმში 1869 წელს.

ამ „ისტორია“-ში, როდესაც სიტყვა ეხება დავით აღმაშენებელს, მისი ავტორი სწერს: „დავით მეფე იყო კაცი წმინდა და სათნო, შემკული ყოველგვარი ღვთისმსახურებითა და კეთილი სიმართლითა. და იგი აღმოჩნდა მიმღებელად და მოყვარედ სომხური ერისა. მასთან შეიკრიბა სომეხთა ჯარის დანარჩომი. და მან აგო ქალაქი სომეხთათვის ქვეყანასა საქართველოისა და დაარსა მუნ ეკლესიები და სავანენი მრავალნი და უწოდა სახელი ქალაქისა მის გავრა (გორა). და მიღებულ იქმნა (დავით) დიდითა სიხარულით და ქებითა ყოვლისა მიერ ერისა სომხისასა“ (გვ. 447).

მაშასადამე, ქალაქი გორი, მათე ედესელის ცნობების თანახმად, დაარსებულია დავით აღმაშენებლის (1084—1125) მიერ განსაკუთრებით სომხებისათვის,—იმ სომხებისათვის, რომელნიც გადმოსახლულ იყვნენ თვით დავითის მიერ სომხეთიდან.

მე-XII-ე საუკუნიდამ დაწყობილი სომეხთა იმმიგრაცია ახალ დაარსებულ ქალაქში, და აგრეთვე მის სანახებში იმდენად გაძლიერდა, რომ მე-XVIII-XIX-ე საუკუნოებში უკვე არამც თუ მარტო გორი, არამედ აგრეთვე მისი მიდამოები—უფლისციხე, ქვახრელი, ხიდისთავი, გარდატენი, ატენი, გორისჯვარი და სხვა აივსო ამ მოსულ სომხებით, რომელნიც დროთა განმავლობაში დაჰკარგეს თავიანთი დედა-ენა, ეროვნული ზნე-ჩვეულებანი და აგრეთვე თითქოს ფიზიკური ტიპიც (აკკლიმატიზაციის პროცესსის ძალით), თუმცა შეინარჩუნეს ერთად ერთი ფაქტორი თავიანთი ეროვნული სახისა—ეროვნული სარწმუნოება.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

# უცხოეთი

## სომხეთი

**ინგლისური პრესა სომხეთის შესახებ.**

ინგლისური გაზეთი „ნიუ-იურიონ“ სწერს: „სომხეთის მომავალი დამოკიდებულია არა მის ტერიტორიის სივრცით, არა მის მფარველ სახელმწიფოს სიდიდით და მის სამრეწველო განვითარებით. ისინი, ვინც იცავენ სომხეთის აბსოლუტურ დამოუკიდებლობას, ან გამოცდილი ფონტოზიორები არიან, ან მეტისმეტად გამსჭვალულნი სოციალისტურ იდეებით, რიოთაც უკანასკნელ 40 წლის განმავლობაში იზრდებოდა რუსის სკოლის მოწაფეობა და რის ნაყოფიც ეხლა ჩვენ წინ არის. ისინი კეთილი და პუშპარიტი პატრიოტები არიან, მაგრამ ეს კი არ კმარა რო განაგო ქვეყანა, სადაც მოსახლეობის უმეტესობა უვიცია ხოლო მისი მოწინავე ნაწილი მოკლებულია დისციპლინას და გამჭვალულია ეგოიზმით.

გაერთიანებულ სომხეთს შეუძლიან გახდეს დამოუკიდებელი მარტო 50 წლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში ის იქნება რომელიმე ძლიერ ან და ინგლისის მაგვარ სახელმწიფოს მფარველობაში“.

**ყარაბახი და ზანგეზური.**

(სომხ. დეპ. სააგ.)

სომხეთის მთავრობას მიუღია ოფიციალური ცნობები გერუსოვიდან რომ იქ ემზადებიან იარაღით დაიპყრან სომხეთის ყარაბახი. ცნობები შემდეგია: „შუშაში ჩამოვიდნენ: ნური—ფაშა, ოსმალეთის ოფიცრები გენერ. ხოვრუზოვი. მათ თან ჩამოჰყვათ რაზმი ც. აზერბაიჯანს სურს გადავიდეს შეტევაზე ვრცელ მასშტაბით. შეტევის მიზანია საბოლოოდ დაიჭირონ ყარაბახის და ზანგეზურის რაიონები. აზერბაიჯანს წინასწარ გადაწყვეტილი ჰქონია ამ რაიონების დაჭერა“.

ამ ცნობებმა დიდი მღელვარება გამოიწვია მთელ სომხეთის ერში. საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ხატისოვმა ამის გამო აზერბაიჯანში ხან—ხოელს გაუგზავნა დეპეშა. ერთი ასლი კი სომხეთის წარმომადგენელს ბეკზადიანცს:

„ჩვენამდის მიღებულ ცნობებით შუშაში და ყარაბახში გროვდება აზერბაიჯანის ჯარი ოსმალეთის გენერლების მეთაურობით. მათი მიზანი—ყარაბახის და ზანგეზურის დაჭერაა. ამისთანა გამოსვლები პირდაპირ დამრღვევი და გამთიშავია იმ შეთანხმების, რომელიც დაიდო აზერბაიჯან—სომხეთის შორის. ვდგევართ რა მშვიდობიან შეთანხმებით გზაზე მე ჩემი მთავრობის მხრივ ვთხოვ აზერბაიჯანის მთავრობას მიიღოს ღონისძიება ამის წინააღმდეგ, და ჩაშალოს განზრახული გამოსვლა და ამით არ დაარღვიოს 23 გიორგობისთვის შეთანხმება და ჩვენ მეზობლური განწყობილება. ველი პასუხს სასწრაფოდ.

## რუსეთი

**აჯანყება როსტოვში.**

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სადგურ აქსაისკიდან ჩამოსულ აგენტების გადმოცემით, ნოვოჩერკასკში, გრუშევსკაიაში და ნორკინსკაიაში მცხოვრებ ყაზახებს, ბოლშევიკების მიერ უსაზღვრო რეკვიზიციებით, ძარცვა-გლეჯით და ძალადობით მოიზრებულ ნოვოჩერკასკთან დაუტაცხიათ, ბოლშევიკების მიერ ფრონტისთვის გამოგზავნილი იარაღი დაუტყვევებიათ, ნოვოჩერკასკის სოვდეპი, დაუხოცნიათ ყველა კომისრები, მოუწყვეტნიათ მერვე არმიის შტაბი დივიზიების შტაბებისთვის, და აუყრიათ რკინის გზის ლიანდაგი სად. პერსიანოვკასა და ინსტიტუტკაიასთან.

ამავე დროს როსტოვში მომხდარა მუშათა აჯანყება, მათი რიცხვი 33000 უდრის.

მეექვსე და მე 12 მსროლელთა დივიზიების შტაბები გაქცეულან როსტოვიდან ალექსანდრო-გრუშევსკში, მესამე საბჭოთა არმიის შტაბი კი სად. ლისაიაში,

მოწინააღმდეგის არტილერია როსტოვსა და ნოვოჩერკასკს ესვრის.

მოხალისეთა ნაწილები ჯერ არ შედიან როსტოვში, რადგანაც ეშინიანთ ბოლშევიკების ჯარის მოწოლისა.

**ბოლშ. სამხ. მოქმედ.**

(საქ. დეპ. სააგ.)

სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკებმა ოდესა დაიკავეს. წითლები პერეკოპის ყელთან მოვიდენ, მაგრამ უკუ აქციეს. მანიჩისა და დონის ხაზზე ბოლშევიკების შეტევა დიდი ზარალით უკუაგდეს. ყაზახებმა გადალახეს მდ. მანიჩის შესართავთან და ჩრდილოეთის მიმართულებით ბოლშევიკებს გაედევნენ. წითლებმა დაკარგეს 8,100 ჯარის კაცი, რომლებიც მოხალისეებმა ტყვეთ წაიყვანეს, დაჰკარგეს აგრეთვე 171 თოფი და 339 ტყვიისმფრქვეველი. წითლებმა დონის სამხრეთით აზოვის ზღვის ნაპირზე ტაგანროგიდან ჯარი გადმოსხეს.

აღმოსავლეთით ჩვენ ბოგაევსკაია და რამდენიმე სოფელი ავიღეთ. სტავროპოლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 25—20 ვერსით სოფ. მოსკოვსკოე და დუბოვკა ავიღეთ.

**მოსკოვი. 20 თებ.** არხანგელსკის აღების გამო „იზვესტიას მოწინავე სწერს: საბჭოთა რუსეთმა ერთხელ კიდევ გაიმარჯვა კონტრ რევოლიუციაზე. არხანგელსკი ჩვენთვის აუცილებელი იყო გაზაფხულის ნავოსნობისთვის, ჩრდილოეთის ნავთსადგური მუშათა კლასისთვის ბლოკადის გამო საჭირო იყო, მაგრამ წითელმა არმიამ გაზაფხულის დადგომამდე გაგვახარა არხანგელსკის აღებით. ევროპისაკენ ახალი ფანჯარა გაიჭრა. რუსის ხალხის მტერი მას ვეღარ დახურავს.

—უნგრეთის ბურჟუაზია ხალხს ხვრეტას განაგრძობს. სოფლები განადგურებულია. ათასობით დახოცილია, მასწავლებლები და გზრაელები. მუშებს, როგორც ცოფიან ძაღლებს, ქუჩებში ხოცავენ. საბჭოთა დაწესებულებებში მოსამსახურეებს, ლიტერატორებს, მხატვრებს, მსახიობებს და რედაქტორებს სიკვდილით დასჯას უწყვეტენ. პოლიციელები ყოველგვარ ინკვიზიციურ წამებას მიმართავენ. ევროპის და ამერიკის მუშებო, თქვენ [illegible] ასეთი ხოცვა შეიწყნარება [illegible] ლეთ საპროტესტო ხმა.

ყაზანის დეპომ 2 ორთქლმავალი და 17 ვაგონი შეაკეთა. სად. ლუდინიდან 5, სად. ავრიზიდან 8, კრასნოუფიმსკიდან—2 და ინზვრიდან შეკეთებული გამოუშვეს. 11—14 თებ. 970 წითელ არმიელმა 713 კუბ. საჟ. შეშა დაამზადა.

# გერმანია.

**ვილჰელმ მე-II-ის წერილი**

გერმანულ გაზეთებში დაბეჭდილია ვილჰელმ ქეიზერის წერილი ერთერთ თავის მეგობრისადმი, ფიქრობენ პრინც ფიურსტენბერგისადმი. ხამეფარი სხვათა შორის სწერს:

„აღარა მაქვს მე არც იმედები და არც სურვილები. რას იტყვით თქვენ ჩემ ვითომდა ნიკოლოზისადმი წერილის მიწერის შესახებ? თუმცა მე ამაზე მივწერე ლოვენფელდს (უმჭველია უმთავრეს რედაქტოოს გაზეთ „ნეიე ბერლინერ ცაიტუნგის“) მან უნდა განაცხადოს პროტესტი ჩემი კერძო წერილების გამოქვეყნების შესახებ, მაგრამ ჩემი წერილები დაბეჭდილი იყო ზოგიერთ გაზეთებში რომელითაც მტრულად ეპყრობიან, ამისათვის საჭიროა ამ საქმეში ფრთხილად ვიყოთ ვიდრე ეს ბისმარკის წერილებზე.

მე არა მაქვს სურვილი დავბრუნდე უკან გერმანიაში. განხეთქილება რომელიც შეიძლება მოხდეს ჩემ პიროვნების გამო ჩემთვის მეტად აუტანელი შეიქნება.

შემდეგ ვილჰელმი სჩივის ფიზიკურ და სულიერ ტანჯვის შესახებ.

მომავალზე ის სწერს: „მე არაფერს კარგს არ ველი გარდა ნიკოლოზთან ტრაგიულ სიკვდილისა, მას შემდეგ რაც მეფის მკვლელებმა მონარქიული სოლიდარობა დაარღვიეს და იმის მაყურებელი, რომ სხვა სახელმწიფოები თავის ტახტის შენარჩუნებისათვის ეს ისხვერპლად მწირავენ“.

# პატარა ფელეტონი.

**კავშირის ჯვარი.**

წუხელის სანეტარო სიზმარი ვნახე: მზე დიდებულად ანათებდა და მის მარავალდღეში შვეიცარიის კავშირი გამობრწყინებულიყო.

თვალნი მივაპყარ, მივაშტერდი.

ჯვარის შუაგულს შევამჩნიე გეოგრაფიული რუქა, რუქა კეკლუცი საქართველოსი.

პირდაპირ ვჭვრეტდი მოთამაშე ალაზნის ზვირთებს და მის ცვარებით მორწყულს იდიდარს, ნოყიერს ველებს.

შორს, კავკასიონის გრეხილი ცას მიბჯენოდა საკოცნელად.

იგი დარაჯად დაჰყურებდა თბილისს და ბათომს, შავი ზღვა ხომ ტკბილად შეჰხაროდა...

— ნეტავ ვიცოდე, რას ნიშნავს ეს?

—ვეკითხე ჩემთვის.

ცა გაიხსნა და მომესმა მეტად ტკბილი ხმა:

„მე ვარ უფალი, რომელსაც საქართველო დათვის თათებიდან დავიხსენი და მას დავიხსნი ყოველი მტრისაგან“.

პო, კურთხევა შენდა, ჩემო ახალო მვეიცარია!

დაე, ეს ჯვარი კავშირისა, ემბლემა უკეთილშობილესი და უპატიოსნესი ახარისა შენთვისაც ისევე ძვირფასი იყოს, როგორც დღეს ხარ შენ, ჩემო ტკბილო და სათაყვანო!

გასწი სწორე გზით, როგორც აქამდე დადიოდი პატივმოსილი! და მალე ჩვენ ვიხილავთ ჟანა დ'არკის დროს, როცა ჩვენი მტერი განიავდება და ჩვენ ლაგვიბრუნდება ბათუმი, ეს ჩვენი ქვეყნის მარსელი...

მარიეტა კვერკელიძე.

# საქართველოს მეაბრეშუმეთა პირველ ყრილობის პროგრამა

**1. საქართველოს თესლით უზრუნველყოფა და თესლით ვაჭრობა**

1. თესლის შემოზიდვა საზღვარ გარეთიდან. 2. ადგილობრივი გრენაჟის განვითარება. 3. სავალდებულო კონტროლი. 4. თესლით ვაჭრობის უკანასკნელი ვადა.

**2. აბრეშუმის მოყვანა**

1. გამოკვების გაუმჯობესება. 2. ბჟოლის ხეების გაშენება. 3. სნეულებანი და მათთან ბრძოლა.

**3. პარკი და პარკით ვაჭრობა**

1. პარკის გასაღება (საზოგადო მხრჩოლავეები და წაწონეები). 2. კრედიტის უზრუნველყოფა. 3. მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა გამოყენება. 4. საშინაო წარმოების განვითარება და ძაფის საქარხნო ამოღება. 5. მონოპოლიის კანონი და მისი გავლენა. გადასახადები.

**4. საზოგადო საკითხები**

1. სართავ-საქსოვი მრეწველობა და აბრეშუმის წარმოება საქართველოში. 2. მეაბრეშუმეობის შესახებ რაციონალურ ცოდნათა გავრცელება. 3. გამოფენები და შეჯიბრებანი. 4. მეაბრე-

შუმეთა სადგურები და მათი მოღვაწეობა. 5. მიწის რეფორმა და მისი გავლენა. 6. მეაბრეშუმეთა ყრილობები და მუდმივი ცენტრალური ორგანოს შექმნა:

## ყრილობის დებულება

1. ყრილობა იკრიბება ქ. თბილისში 29 თებერვალს 1920 წ. და გრძელდება იმავე თვის 1 და 2 მარტს.

2. ყრილობის წევრობა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა მწარმოებელ მეაბრეშუმეს ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს საორგანიზაციო კომიტეტის მდივანს.

3. სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეაბრეშუმეთა კავშირები, და კოოპერატიული თუ საკრედიტო დაწესებულებანი, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ მეაბრეშუმეობასთან, გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

4. ყოველი მოხსენება ყრილობისათვის უნდა წინასწარ განხილული იქნეს საორგანიზაციო კომიტეტში არა უგვიანეს ერთი კვირისა ყრილობის დაწყებამდე.

5. ყრილობას ხელმძღვანელობს მომწვევი კომიტეტი ვიდრე ამორჩეული იქნება ყრილობის პრეზიდიუმი

6. ყრილობის წევრებს ეძლევათ პირადი ბარათი, ანგარიშები და გამოცემანი.

7. ყრილობის წევრთათვის მოწყობილი იქნება სართავ-საქსოვ ქარხნებისა და მუზეუმის დათვალიერება.

## ჩვენი თვითმართველობების უმწეო მდგომარეობა და მათი ხსნა

ჩვენი თვითმართველობები რომ უმწეო, უნუგეშო ფინანსიურ-ეკონომიურ მდგომარეობას განიცდიან—ეს ყველასათვის ცხადი და ნათელია. ახლად აღმოცენებულ ქალაქებმა ვერ შესძლეს მეურნეობის მოწყობა მოგვარება.

შეიძლება ამის მიზეზი მრავალია, მაგრამ უმთავრესს მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ფინანსების უქონლობა და მათი წყაროების აღმოჩენის შეუძლებლობა. რასაკვირველია, როდესაც სახელმწიფო ახლად შენდება ყოველივე დასაწყისს დიდი და უანგარიშო ხარჯები მოსდევს, მაგრამ ასეთი „უანგარიშო" ხარჯები, რომლებიც ჩვენმა ქალაქებმა გასწიეს, არც ერთ უწყებას არ გაუწევია საქართველოს რესპუბლიკაში. ამრიგად ჩვენი ქალაქების ბიუჯეტი იზრდება, სამაგიეროდ არც ერთი დარგი ქალაქის მეურნეობისა არ არის მოგვარებული. ძველი რაც იყო, უკვე განადგურდა და ახლის ასაშენებლად არავინ ემზადება, ასე რომ ხალხი დავალიანდა, ვალი დღითი დღე იზრდება და ბოლოს იმ წერტილამდის უნდა მივიდეთ, რომ ყველა ქალაქის მამულები უნდა გაიყიდოს და ვალი უნდა გადვიხადოთ.

ქუთაისის ბიუჯეტი უდრის ხუთმეტ (15) მილიონ მანეთს და რა გაკეთდა ამის ფასი?! არაფერი, რაც იყო ისეც მოისპო—განადგურდა. ქუთაისს რომ პროცენტიულად შევადაროთ დავალიანების მხრივ პატარა ახლად აღმოცენებული ქალაქები, დაინახავთ, რომ უკანასკნელთ უფრო მეტი ვალი დასდებიათ ვიდრე დიდ ქალაქებს, რაც დრო გადის საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცდება და იმედია რომ, საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველი ერის სასარგებლოთ გადაწყდება, მაშასადამე, დამოუკიდებლობის აღიარებით ჩვენი ფულის კურსი აიწევს, რაიც ბაზრიდან მალე გაქრება, გაძვირდება. ფულის გაძვირებას ის მოჰყვება, რომ ვალის გადახდა ძალიან ძნელი შეიქნება. მაშ რაშია ჩვენი ხსნა თავს რომ დავაღწიოთ? ყველა დარწმუნებული უნდა ვიყოთ რომ ძველი რუსეთის ქალაქების თვითმართველობების დებულებამ რომელსაც დღეს ჩვენშიაც აქვს ფესვი გადგმული თავის დრო მოჭამა და ეხლა კი საჭიროა ძირეული რეფორმა.

ჩვენს თვითმართველობებს აქვს სხვა და სხვა მეურნეობის განყოფილებები და მათ შორის არ არის სამრეწველო განყოფილება, რომელსაც დღევანდელ ჩვენს ფინანსიურ-ეკონომიურ პირობებში ფართო ხასიათი უნდა მიეცეს და მუნიციპალიზაციის იდეის დამკვიდრებასაც ხელს შეუწყობს. ამის ინიციატივა თავს უნდა იდვას შინაგან საქმეთა სამინისტროს თვითმართველობის განყოფილებამ და ქალაქთა კავშირმა, რათა ჩვენს ქალაქის დებულებაში სავალდებულო იქნეს სამრეწველო განყოფილებების დაარსება და მხოლოდ ასეთი გზით შეძლება მოგვეცემა თავს დავაღწიოთ.

როდესაც თვითმართველობები სამრეწველოების დანერგვას და გამრავლებას შეუდგებიან, მაშინ ასეთი ზღაპრული ვალები რომლებიც დღეს ჩვენს ქალაქებს გადასახდელად აქვს ადვილი მოსაშორებელი იქნება და მუნიციპალიზაციის იდეაც მალე გაიმარჯვებს.

ნიკ. ახვლედიანი.

# კორესპონდენციები

## სვანეთის ავ-კარგი

ყველამ უწყის, თუ რა საშინელ პირობებში იმყოფება სვანეთი დაუვიწყარ დროიდან. არა ერთხელ სმენია საზოგადოებას სვანეთის მუდარა, განუწყვეტელი თხოვნა დახმარებისა. სვანეთი ითხოვს შველას ეს 70 წელიწადია, ითხოვს დახმარებას, მატერიალურად, ზნეობრივად და კულტურულად, მაგრამ ამაოდ.

ძველ მთავრობის დახმარება მხოლოდ გარუსების პოლიტიკაში გამოიხატა და ისედაც გაუბედურებულ სვანეთს გადაგვარებულ ინტელიგენტთა ტიპების მეტი არა შემატა-რა. სვანეთის კეთილდღეობა დღემდე ბარსა და ნიჩაბს ვერ გასცილდა, და დღეის შემდეგაც გაუმჯობესების მაგიერ მეტი უბედურება მოელის მას.

რევოლუციის შემდეგ არ დარჩა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე ისეთი კუთხე, რომელიც არ შენატროდეს დღის საქართველოს, არ ნატრობდეს საქართველოს რესპუბლიკაში გამეფებულ წესრიგს, და მყუდრო ცხოვრებას.

საწყალობელი სვანეთი ვერ იზიარებს იმ ბედნიერებას, რომელიც მოგვცა დამოუკიდებლობამ. ეს კუთხე მუდმივ ტანჯვაში მყოფი კვლავ განიცდის გაჭირვებას და ვგონებ შველას. უკანასკნელი იმედიც დაეკარგა. მართალია თუ შევადარებთ ძველ „წყეულ დროს", როდესაც სვანების სიტყვით „კანონი-სამართლიანობა" მურის ხიდს*) იქით არ მიდიოდა და დღევანდელ სვანეთის მდგომარეობას, სამწუხაროდ დავინახავთ, რომ გაუმჯობესების მაგიერ დღეს სვანეთი გაცილებით უფრო ცუდ პირობებში იმყოფება.

უგზო უკვლობა, სიცივე შიმშილ-წყურვილი სიღარიბე და გაუნათლებლობა წელში სწყვეტდა ისედაც დაბეჩავებულ სვანეთს, დღეს კი სამწუხაროდ ამას მიემატა სხვაც ბევრი რამე.

სვანეთი სრულიად მოწყვეტილი არის ცენტრს, და საზოგადოდ მთელ საქართველოს, მთავრობის დახმარება სვანეთისათვის ამ ორი წლის განმავლობაში გამოიხატა მხოლოდ რამოდენიმე წყვილ საცვლების, ნავთის, მარილის, შაქრის დაბალ ფასებში დათმობაში, რომლების ერთი ნაწილი ქუთაისს არ გასცილებია და რაც გასცილდა იმის საგრძნობელმა ნაწილმა რაღაც მანქანებით სვანეთის საზღვარი (კავკასიონის ქედი) გადაიარა და ყაბარდოში ამოჰყო თავი. რა თქმა უნდა ამაში მთავრობას არ უდევს ბრალი, მაგრამ ბრალდებაც არსაიდან ჩანს. სვანეთი წინანდელზე უფრო „გულმოდგინედ" თავის საქმეს „თვითონვე განაგებს", რომელიც გამოიხატება დახავსებულ ასი წლის საქმეების გარჩევაში.

სვანების სიტყვით, ეხლა „კანონი არ არსებობს" და მაშასადამე ყველას უფლება აქვს გამოჩხრიკოს ძველ ძველი საქმეები. სამედიატორო სამართალში გამოიწვიოს ყველა ის, ვისზედაც კი მამა-პაპისაგან რაიმე საწინაამდეგო სმენია. ბრალდებულიც იძულებულია გაჰყვეს სამართალში, ვინაიდან იცის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მომჩივანი საქმის გარჩევას თოფს მიანდობს. არც თუ თოფზე უფრო სამართლიანად სვანური სამედიატორო სასამართლო არჩევს საქმეს. თუ რამდენად სამართლიანია ამ შემთხვევაში სვანური სასამართლო ამის დასამტკიცებლად მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს: ძველად სვანები რომ დამოყვრდებოდენ, იცოდენ ჯერ კიდევ დაუბადებელ შვილების შეუღლება, პირობა ასეთი იყო: თუ ერთ რომელიმეს ვაჟი დაებადებოდა და მეორეს ქალი, ერთმანეთი უნდა შეერთოთ. სოფელ №-ში მოხდა ასეთი მაგალითი, რომ ერთ ახლად დამოყვრებულთაგანს გაუჩნდა ვაჟი და მეორეს ქალი, მხოლოდ უკანასკნელი კი მეტად დაუჯილდოვა ბუნებამ ყოველ სიმახინჯით. ერთი სიტყვით ქალი გამოდგა: ყრუ და მუნჯი. რა თქმა უნდა შეუღლება არ მოხდა და ვაჟმა სხვა ქალი შეირთო.

მთავრობის შიშით მაშინ ქალის ნათესავებმა ვერ გაბედეს ჩივილი და სვანისათვის დიდათ სამარცხვინო საქმეს „საცოლეს დატოვებას" (ლიცვრე) არ გამოუდგნენ. ეხლა კი ქალის ნათესავებმა გადასწყვიტეს ესარგებლათ შემთხვევით და გამოიწვიეს ვაჟი სამედიატორო სასამართლოში. განაჩენი ამ სამართლისა გამლდათ რამოდენიმე ათასი მანეთი ქალის (ეხლა უკვე გარდაცვალებულის) სასარგებლოდ.

მეორე მაგალითი იყო ასეთი:

191—წელში სოფელ ლატალში გამოჩნდა ერთი ვინმე ავანტიურისტი, რომელიც არწმუნებდა მთელ სვანეთს რომ მის ცოლს დაებადა წმ. გიორგი. „სასწაულთ მომქმედ წმინდანთან" ბლომად მოდიოდა სვანეთის ყოველი კუთხიდან „მორწმუნე" ხალხი და თაყვანსა სცემდა „ჯგურაგს" *) ახალგაზდა ლატალელი წმინდა გიორგის სასწაული გამოიხატებოდა ორიგინალურ მკითხაობაში, რისთვისაც კარგ გასამჯელოს იღებდენ მისი დედ-მამა. ლატალის მღვდელმა ეს აცნობა ადგილობრივ ბოქაულს (მურზაყან დადეშქელიანს) და სთხოვა ზომები მიეღო ვაჟის მამის წინააღმდეგ და დაეჭირა იგი. ბოქაულმაც გასცა ბრძანება მის დასაჭერად. და ამ ბრძანების სისრულეში მოსაყვანად გაგზავნა რამოდენიმე ჩაფარი.

გზაში ჩაფრებს შეხვდა შეიარაღებული უცნობი კაცი, რომელმაც მათ დანახვაზე გზიდან გადაუხვია და დამალვა დააპირა. ჩაფრებმა ეს შენიშნეს და გამოუდგნენ დასაჭერად. უცნობი ჩაფრებს არ დანებდა და გაქცეულმა დაუწყო მათ სროლა, რის შედეგაც იყო ერთ ჩაფართაგანის სიკვდილი. უცნობი პირი როგორც შემდეგში გამოირკვა გამოდგა მეორეულ სოფლის ყაჩაღი, რომელიც შემდეგში მოკლულ იქნა ჩაფრის ნათესავების მიერ. მოკლულ ჩაფრის ნათესავებმა ამით არ დაამთავრეს სისხლის აღების საქმე და ეხლა მკვლელობაში სხვა დამნაშავე პირებს დაუწყეს ძებნა და სვანური ლოგიკით მიაგნეს კიდეც მას. მერე იცით ვინ გამოდგნენ ეს დამნაშავე პირები? უფროსი ჩაფარი და მღვდელი. უფროსი ჩაფარი იმიტომ, რომ უბრძანა მოკლულ ჩაფარს წასულიყო მასთან ბოქაულს ბრძანების სისრულეში მოსაყვანად და მღვდელი კი აი რისთვის: რომ მღვდელს წერილი არ მიეწერა ბოქაულისთვის უკანასკნელი არ გასცემდა ბრძანებას ცრუ წმ. გიორგის მამის დასაჭერად, არ გაუგზავნიდა ჩაფრებს და არც მკვლელობა მოხდებოდა. საბრალო მღვდელს გადაეკიდენენ, მიუვარდნენ სახლში და დაუწყეს სროლა და კინაღამ მოკლეს. მღვდელი იძულებული იყო გაჰყოლოდა სამედიატორო სამართალში და თანახმად სასამართლოს დადგენილებისა გადაიხადა რამოდენიმე ათასი მანეთი მოკლულ ჩაფრის ნათესავების სასარგებლოდ.

ასეთია სვანური სასამართლო. მე დარწმუნებული ვარ მოკლულ ჩაფრის ნათესავებს რომ შესძლებოდათ გამოიწვევდენ სასამართლოში კიდევ ბევრ სხვა პირებს, მაგ. ვინც მღვდელს წერა ასწავლა, მღვდლად აკურთხა, სოფელ ლატალის მრევლში გაამწესა და სხვა.

კიდევ ერთი მაგალითი სვანურ სასამართლოსი: ამ 15 წლის წინად ორ ყაჩაღს შეეფარებინათ თავი ერთ მეჯღლის სახლში სოფელ კალაში, თვითონ მეჯღლი ამ დროს ქუთაისში იყო წასული სავაჭროდ და შინ მხოლოდ მისი მოხუცებული დედა და ცოლი იყვნენ. ბოქაულს ამბავი მიუტანეს, და აცნობეს სად იყოფებიან იმ ღამეს ყაჩაღები. გათენებისას ჩაფრები შემოერტყნენ სახლს, მაგრამ ყაჩაღებმა თავს უშველეს და ერთი ჩაფართაგანიც მოკლეს. ერთ დღეს მოკლულ ჩაფრის ნათესავები ცხენს აჭიდინებდენ მეჯღლს და ამ დროს დაკრეს მას დიდი „მუჯურო*) და თავი ორად გაუპეს. მუჯურო ისე მძლავრად დაჰკრეს რომ საწყალ მეჯღლს ორი წინა კბილი ჩამოაგდებინეს, მაგრამ რაღაც სასწაულით მეჯღლი სიკვდილს გადარჩა. მით არ დაკმაყოფილდნენ ჩაფრის ნათესავები და 1918 წელს იანვარში გამოიწვიეს მეჯღლი სამედიატორო სასამართლოში, რომლის დადგენილებით თაც 2 ათასი მანეთი გადახდა მეჯღლს მომჩივანის სასარგებლოდ, და ყველაფერი ეს იცით რისთვის? „ჩვენი ძმა შენს სახლში მოკლესო".

ჩვენ შეგვეძლიან მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი სვანეთში გამეფებულ „სამართლიანობისა" მაგრამ ნიმუშად ესეც საკმარისია.

ყოველივე ზემო ნათქვამს რომ თან დავუმატოთ სვანეთში გახშირებული, ქურდობა მტაცებლობა, მკვლელობა და ავათმყოფობა ადვილათ წარმოვიდგენთ თუ რა აუტანელ პირობებში იმყოფება დღეს სვანეთი.

ყველა ეს კარგად მოეხსენება ადგილობრივ კომისარს და მის შემწეობით მთავრობასაც, მაგრამ გაუმჯობესების მაგიერ სვანეთის საქმე სულ უკან-უკან მიდის. არც ერთი სვანი არ მსახურობს რესპუბლიკის ჯარში, არც ერთი სვანი სასამართლოს წინაშე არ დამდგარა არც ერთ ბოროტებას მსჯავრი არ დასდებია.

მიხედეთ სვანეთს! ის იღუპება! სვანეთი ითხოვს შველას!

არჩილ ინგურიძე.

*) მურის ხიდი საზღვარია ლეჩხუმის და სვანეთის.

*) სვანურად წმ. გიორგი.

*) ჯოხი, რომელსაც რკინის ბოლო აქვს.

## პროფ. იოსებ ყიფშიძე

1882—1919

(დასასრული)

ჩვენ განზრახვით გამოვტოვეთ ერთი შრომა განსვენებული მეცნიერისა, რომელიც 1914 წლის ქვეშ უნდა აღგვენიშნა და რომელზედაც შევჩერდებით დასასრულსა. ეს შრომა არის chef d' oeuvre-ი საენათმეცნიერო კვლევისა. ეს შრომა რომ არ დაეწერა განსვენებულს—მისი სახელი კვალს ვერ დასტოვებდა მეცნიერებაში. მკითხველმა უკვე იცის, რომ აქ ლაპარაკია მისი „მეგრ. ენის გრამატიკაზე" („Гр. мингр., иверскаго, языка съ хрестом. и словаремъ», 1914, изд. Акад. Наукъ), რისთვისაც ავტორი აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტმა ღირს-ჰყო, საჯაროდ დისსერტაციის სახით დაცვის შემდეგ, ქართული სიტყვიერების მაგისტრის ხარისხისა. ეს შრომა—გაგრძელება და დამთავრებაა იმ შრომისა, რომელიც 1880 წ. „Мингр. этюды"-ს სახელწოდებით გამოსცა პროფ. ალ. ა. ცაგარელმა (2 ნაწ. სადოქტორო დისსერტ. დაცული პეტრ. უნივ—ში). ყიფშიძის შრომა შედეგია 4 წლის შრომისა და ააშკარავებს მასში დიდს სამეცნიერო ალღოსა, დიდის სიყვარულით მოჰკრობია ავტორი საგანსა, გულ-დასმით შეუსწავლია წარსული და აწმყო ენისა, ურყეველ სისტემაში მოუყვანია მასალა, ყველაფერი თავ-თავის ადგილს მოუთავსებია და ისე გამოუცია.

წიგნი შეიცავს სამ ნაწილს (614 გვ. სულ): გრამატ., ქრესტომატიას და ლექსიკონსა. ამ წიგნში ავტორი აღიარებს და უტყუარად სთვლის იმ საენათმეცნიერო თეორიას რომელსაც „იაფეტური თეორია", „იაფეტური ენათ-მეცნიერება" ეწოდება და რომლის მამამთავარი აკად. ნ. ი. მარრია (დ. 1864 წ.).*) ავტორი შრომისა ისე, როგორც მისი მასწავლებელი მიაკუთვნებს მეგრ. ენას განსაკუთრებულ ადგილსა იაფეტურ ენათა შორის: თუბალ-კაინური ჯგუფი: თუბალური ანუ მეგრული და კაინური ანუ ჭანური. პირველს ეწოდება აგრეთვე იბერული ენა, იოს. ფლავიოსის**) მოწმობის თანახმად შესახებ იმისა, რომ თუბალელები, ანუ მეგრელები, იაფეტის შვილის თუბალის შთამომავალნი, „იბერებად" იწოდებოდნენო.

ავტორი გრამატიკას იჩენს ღრმა დაკვირვებას: იგი სამართლიანად შენიშნავს, რომ ინგილოური თქმა ქ. ენისა ფრიად უახლოვდება იბერულსა, ანუ მეგრულსა (გარდა იქ მოყვანილ მაგალითებისა (გვ. 16 შეგვიძლია დავასახელოთ მეგრ. ენის დამახასიათებელი ბგერა—ჩ—ს სიმრავლე ქართ. ენის დასახელებულ თქმაში. ავტორი გვაცნობს მეგრელთა შეხედულებას მათი ენის წარმოშობაზე. სვანმა შეირთო ჭანის ქალი. მათ ერთმანეთის, რა თქმა უნდა, არაფერი გაეგებოდათ, ამიტომაც იძულებულნი იყვნენ შეექმნათ ახალი საერთო ენა სვანურ—ჭანური, რომელსაც ეწოდა „მეგრული".. ავტორს ზედმიწევნით შესწავლილი აქვს საკითხის ლიტერატურა ჩელები—პალლას—გულდენშტედტიდან — ალ. ცაგარელამდე...

მასალა,—ქრესტომატიის სახით დართული, მრავალმხრივია. პროზა, პოეზია, იგავ-არაკები, ანდ.—გამოცანები და სხ. ეს მასალა შედგენია მისი და მისივე ხელმძღვანელობით მრავალ თანამშრომელთა მუშაობისა უმთავრესად ზაფხულის თვეებში (1910—13), მაგრამ მთელი ღირებულება ლექსიკონშია (200 გვ. მეტი), სადაც მრავალ მეგრ. სიტყვას მოუნახა მეცნიერმა ეკვივალენტები: სპარსული (50), არაბული (40), თურქ.—თათრ. (40), ბერძნ. (20), სომხ. (10) და სხ. სიტყვის განმარტებები დაწვრილებითია და ზოგიერთ მათგანის ახსნაში მკითხველი ჰპოვებს არა ერთ და ორ საინტერესო [illegible] (ნ., მაგ., სიტყვები: ალანი, ანთარი, არამ-ხუტუ და მრ. სხ.. ხოლო იაფეტიდოლოგი—ენათმეცნიერი არა ერთ ასეთ საინტერესო შესადარებელ მასალას.

ჩამოთვლილი მხარეები წიგნისა იყო მიზეზი ნ. მარრის აღფრთოვანებულის რეცენზიისა, რომელშიც იგი უწოდებს განსვენებულს—„Совершенно зрѣлый яфетидологъ—лингвистъ"-ს („Зап. В. О. Р. А. О. Т. 23, 1915 г.

კავკასიისთვის ნ. მარრს არა ერთხელ უწოდებია, ლექციებში თუ მწერლობაში,—„ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის მუზეუმი, სომხ.-ქართ. ხელნაწერთა ბიბლიოთეკა" და აი ასეთ „კავკასიის" შესწავლის საქმეში ი. ყიფშიძის შრომა—მომასწავებელია,—„რეალურად დამმოწმებელია ახალი ხანის დადგომისა"-ო.

რაც შეეხება კავკ. კულტურასა და მის წინსვლას, ამ მხრივაც მისმა შრომამ უნდა აღასრულოს თვისი—„შესანიშნავი როლი"-ო. მხოლოდ კი, ნ. მარრის აზრით, წინდროულია ჯერ—ჯერობით, სანამ სხ. იაფეტური ენები არ არიან საკმარისად შესწავლილნი, მტკიცება იმისა, რომ მეგრ.—იბერული ენა უმთავრესად ქართ. ენის გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს და ვითარდებოდესო (გვ. XIX და შემდ. „გრ-კისა"). ამავე მიზეზით შეუძლებელია თქმა იმისა, რომ მეგრ. ენაში ნაკლებად მოიპოვებიან სვანურ-აფხაზური ელემენტები. ამისთვის ჯერ-ჯერობით საჭიროა შესწავლა ამ იაფეტურ ენათა. დავსძენთ ჩვენს მხრივ, რომ მეგრ. ენაში აფხაზ. ელემენტის სიმრავლეს ააშკარავებს—სამურზაყანოს თქმა მ. ენისა, რომლის ტერიტორიაზე სული დალია აფხაზურმა უკანასკნ. 40—30 წწ. განმ., ისევე, როგორც მეგრულმა—გორდი—კინჩხა—ხუნწის (სენაკ. მ.) რაიონში.

სვანური ენის ელემენტის გამოწვლილვისათვის საჭიროა განსაკუთრებითი შესწავლა მეგრ. ენის ჯვარულ თქმისა (სვანეთ. საზღვ.).

განსვენებული აღმსარებელი იყო იმ სალინგვისტო თეორიისა, რომელსაც 900-იან წლ. შემდეგ ეწოდა იაფეტური თეორია, მას სწამდა, [illegible] ერთად, რომ ენათ-მეცნიერებაში იმ ქაოსს, რომელი არსებობდა ქართული ჯგუფის ენების გარშემო—დრო მოეღოს ბოლო. მას სწამდა, მარრის რეცენზენტების სიტყვით რომ ვსთქვათ, რომ: „იაფეტური თეორია თან და თან მიისწრაფვის იქმნეს ურყეველ „იაფეტიდურ ელემენტად" წინა აზიაში—მესოპოტამიის ისტორიასა და ენათ-მეცნიერებაში" *). იგი მარად მიისწრაფვის წინ, მდიდრდება ახალი ფაქტებით და უნდა შეავსოს ის „სიცარიელე" **) ენათ-მეცნიერებაში, რომელსაც გრძნობდნენ მკვლევარნი ამ დარგისა.

შ. ბერიძე.

*) იხ. მისი: «ბუნება და თვისება ქ. ენისა» («იბერია», 1886, № 88) და „Основн. таблицы къ грамм. др.-груз. яз. съ предв. сообщ. о род. груз. яз. съ семитическими", СПБ. 1908. გამართლება ასეთ სახელწოდებისა („იაფეტური") ენათ-მეცნიერმა ჰპოვა «დაბად.» (X, 2). იხ. საშთამავლო ნუსხა ნოე—იაფეტის შთამომავლისა, მ. ჯანაშვ.—«საქ. ისტ.», I, 906, გვ. 8; სტატ. ქართულად თეორიის შესახ. იხ. „განათლ." 1908, №№ 1, 3, 4; 1909, № 1; 1914, № 2, გვ. 154; 1916, №№ 5—6.

**) ებრ. მწერალი, I ს. ჩვ. აღრ—ით. შ. ბ.

*) აკად. ვ. ბარტოლდი და ი. სმირნოვი—«Зап. В. О. Р. А. О.», т. 23, 1915 წ.—„Отзывъ о труд. Марра, относящаяся къ Ани".

**) ibid. შ. ბ.

## კომერციული განათლება საქართველოში

ქართველებში კომერციულ სწავლის აღორძინება ახალი საქმეა, მას ჰყავს თავისი წარმომადგენლები და ამიტომ საჭიროა მათზედ ორიოდე სიტყვა ვთქვათ.

საინტერესოა მეტად, გახსენება იმისა,- თუ უნიადაგო ასპარეზზე, მათ როგორ იღვაწეს, და როგორ შეჰქმნეს ქართველ ენაზე კომერციულ სწავლის სახელმძღვანელოები.

1860 წლებამდე, მთელს თბილისში, ვერ ნახავდით ქართველთაგან სულ 30 სავაჭრო დუქანს. მთელი თბილისი სავსე იყო სომხის [illegible] მათში ზოგი საქართველოს [illegible] იყო და ზოგიც ქვემო ქართლის [illegible] და კრუები წაწინდელ ქართველებში ამ ვაჭრობის მიმდევრების ტრფიალებაც ისე იყო დაცემული რომ მას საიმედო ნიშნები სულ არ უჩანდა. გარდა ამისა ქართველები ისე იყვნენ დაკინებულნი, რომ ვაჭრებთ და ამის მიმდევართ სძრახავდენ კიდეც. თამამათ იტყოდნენ ხოლმე:

„ვის გაუგონია ქართველის დუქანი და სომხის გუთანიო. თვით ქართველ თავად-აზნაურობაში ვაჭრობის მიმდევართ კიცხავდენ კიდეც და თამამად იტყოდენ, რომ ვაჭარი კაცი მატყუარი უნდა იყოსო. ასე იყო ქართველთ რიცხვი ვაჭრობის ასპარეზზე დაცემული რომ 1850 წლებამდის, იმერეთშიაც ასევე იყო და ქალაქ ვაჭრებათ სულ ურიები და სომხები იყვნენ და იქ თქვენ იმერთაგან თითო ოროლა ვაჭარს თუ ნახავდით ისიც ქალაქ ადგილებში.

ქართველ ერის ასეთი მდგომარეობა თურმე მაშინ ბევრს აღარდებდა. სხვათა შორის, ადრინდელ ჟურ. „ცისკრის" რედაქტორმა ივანე კერესელიძემ შემდეგი ამბავი გადმომცა:

ალექსანდრე ორბელიანმა ერთხელ დამავალა, რომ თბილისში, იქმნება მე ვერ მოვესწრო, რომ ქართველი ვაჭრები გაჩნდნენ. შენ თუ მოესწრო ამას, მაშინ ნუ დამივიწყებ მე, მოდი ჩემს საფლავზე და ჩამომძახეო. რომ ქართველებმა გაიღვიძეს და თბილისში ქართველი ვაჭრები გაჩნდენო. ასე იყვნენ შეგნებული ქართველები ამაზედ დამწუხრებულნი და ამავე დროს თბილისში სომხის ვაჭრების საქმე ისე იყო წინ წასული, რომ 1867 წ. თბილისში მოღვაწე ტერ-ალექსანდრიანმა, სომხების ენაზე კვირის გაზეთის გამოცემაც დაიწყო, რომელსაც სახელად „ვაჭრაკანი" ეწოდებოდა, („მოვაჭრე") იმ დროის ქართველებში კი საამისო სულ არაფერი არ იყო.

ასეთ ცარიელ ასპარეზზე გამოვიდა თავის დროს ალექსანდრე საათაშვილი. ასე თუ ისე, ეს იყო პირველი მაგალითი და პირველი მოვლენა ქართველებში, ამ პირს ხვდა წილად ამისი შრომის თავს დება და ამისი აღორძინება დიდის ენერგიულის შრომით.

ამ პირმა მთელი თავისი დრო და ახალგაზრდობის ხანა კომერციული ცოდნის შეძენას და მის გავრცელების სამზადის შეალია. ალექსანდრე საათაშვილი შეესწრო ისეთ დროს და ქართველთ ისეთ ხანას, როცა ქართველებში კომერციულ ცოდნის შეგნების ჭაჭანებაც არ იყო. მიუხედავად ამისა, აქან მაინც გული არ გაუტეხა და თავისაგან არჩეულ საგანს ყოველთვის მტკიცედ იცავდა.

მან თავის დაუცხრომელის შრომით თავის საგანსაც მიაღწია და მოესწრო იმ დროსაც, რომ როცა მან სწავლა განათლება დაამთავრა კომერციის ასპარეზზედ, მის შემდეგ, იგი თავის თანამემამულეთა შვილებთა წინაშე ამ კომერციული სწავლის გავრცელებასაც შეუდგა და დაიწყო ამის გავრცელება თბილისში. ეს მაშინ პირველი მაგალითი იყო და ბევრნი ამის შრომას და მეცადინეობას რომ ქართველებს კომერციული სწავლა მიეღოთ, აღმაცერათაც უყურებდნენ და თამამად იტყოდნენ ხოლმე, რომ ჩვენ კომერცია კი არა ადვოკატობა გვინდაო.

ბ-ნ საათაშვილს შეუსრულდა წადილი და მან მიაღწია საწადელს, ჩვენშიაც განისმა კომერციულ ცოდნის შეძენის საჭიროება თბილისში 1870 წ. შემდეგ თითო-ოროლა ქართველმა თავიც იჩინეს და სულ მოკლე დროს განმავლობაში, 1880 წლებზე თბილისში, ამ ქართველთ ცარიელ ვაჭრობის ასპარეზზე ქართველ-იმერთა ვაჭრებმაც იჩინეს თავი.

სულ 10 წლის განმავლობაში, მთელ საქართველოში ოთხისავ კუთხეში ისე დაირეკა ქართველი ვაჭრობის საჭიროების ზარი, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში ქართველი ერი ფხიზლად გამოვიდა ამის ასპარეზზე.

მალე მთელი თბილისიც აივსო ქართველ ვაჭრებით, არ დარჩა არც ერთი დარგი ვაჭრობის, რომ იქ ქართველთ არ ეჩინათ თავი, თბილისში გაჩაღდა ქართველთ ვაჭართა ბაზარი, რამაც დიდის სინათლით გაანუშა. თბილისის გარდა იმერეთშიც აღორძინდა ვაჭრობა და ვაჭრობის დღევანდელი მდგომარეობაც საქართველოში ხომ კარგად უწყით.

ზ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი [illegible]
გამომცემელი თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი